გაზეთი ბიჭვინთა, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№32 (1058) 23 – 24 მარტი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ლიტო გელოვანი

გვ. 2

რამდენიმე ავტობუსი პირად საკითხებზე

იხ. რაც ცდებოდა წინა კვირაში

21 მარტის პოლიტიკური თამაშები

გვ. 3

რაზე შეიძლება გაურიგდნენ ნაციონალები პრორუსულ სეგმენტს და აქვს თუ არა საღომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო ამბიციები

მარიხუანა მეოთხე სტადიის სიმსივნეს კურნავს?

მსოფლიო მეცნიერთა სენსაციური აღმოჩენა

გვ. 7

განათლების საერთაშორისო ცენტრმა 115 სტუდენტის დასაფინანსებლად განაცხადების მიღება დაიწყო

თბილისში გასაქირავებელი ბინების ფასი დაეცა

მოიჯარეები კომერციულ და საოფისე ფართებს ცდიან

გვ. 6

32 წლის პატიმრის სკანდალური წერილი ეკა ბესელიას

გვ. 8

პატიმრის დღიური

როგორ აღმოჩნდა რუსთავის №17 ზონის ტუსალი ფსიქიატრიულში

„მუღამი გამიჭრა!“

გვ. 5

ვის ეძახის შტერებს, რატომ აკრიტიკებს „ვანოს შოუს“, ვის ჩუქნის „აკრედიტაციის გარეშეს“ და რამდენს უხდიან პატარაციშვილები შაღვა რამიშვილს

რამდენიმე ავტობუსი პირად საკითხებზე

დიტო გელოვანი

გალიის ირგვლივ კი ზედა ქალაქის რჩეულ მამაკაცთა მთელი ნაღები სეირის საჭვრეტად შეკრებილიყო — ხნიერთა დასის უხუცესი პორფირიო და დიდვაჭარი არტემიო ვასკეს, გენერალი ხორხე და დამსჯელი რაზმის კეთილ-გენერალი რამოს, ლამაზგენერალი და გამჭრიახი ადმირალი ციცკა, ყელშფუთვნილი კარის ტენორი ეზეკიელ ლუნა, საჩუქართსაქმისმწარმოებელი შიშველი ანისეტო და დიდი მარშლის პირადი აღმსრულებელი უძვლო კადიმა, გასაიდუმლოებული მექისე ლეიტენანტი ალფრედო ევია და ყოვლად გამომზეურებული ყალმის დიდოსტატი გრეგ რიკიო, სრულიად კამორის მთავარ შემმოწმებლად აღზევებული ყოფილი ჯიბის ქურდი პედრო კარდენასი და ბრჭყვიალა პოლკოვნიკი გრანდჰალლე სეზარ, ხოლო ძვირფასი შენობის საიდუმლო ფარდის ერთ-ერთი ამოქრგული თვალიდან თვით გრანდისსიმოჰალლე — სამფეროვანი ქალაქის კლაკნილ გაზე სწორუპოვარი წარმმართველი, დიდი მარშალი ედმონდო ბეტანკური იჭვრიტებოდა.

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

აი, ახლა, ასეთ ამინდში (რომ წვიმს და რომ ცივა) და ასეთ მდგომარეობაში (რომ მახველებს და რომ მცივა) კაცი დივანზე უნდა იყო წამოგორებული, კონიაკსა და ლიმონიან ცხელ ჩაის წრუპავდე და ყურადღებას არ აქცევდე ჩართულ ტელევიზორს. რა დროს ტელევიზორია, როცა ჰენრი მილერის „თხის რქის ტროპიკს“ კითხულობ, მაგრამ ცხოვრება ჩვენი აღსავსეა მოულოდნელობით და იმ ცნობილ პირველ ოქტომბერს ვინმეს რომ ეთქვა, გაივლის ორი წელი და თავისუფლების მოედანზე ისევ ნუგზარ წიკლაური იყეფებსო, ნამდვილად არ დავიჯერებდი.

გაივლის ერთი წელი და, თუ საკუთარი თვალით არ ვნახავ აცრის ნიშნით ყურდამშვენებულ ნუგზარ წიკლაურს, პირველი მე დავდგები თავისუფლების მოედანზე და პირველი მოვითხოვ ამ მთავრობის გადადგომას.

ისე, გული მიგრძნობს, მალე ვნახავ ქუჩაში გაქუცული, უჯიშო ძაღლით მოსეირნე ქალბატონს. „ფუ, ფუ, არ მიეკარო, ეგ წაკლა რწყილებს გადაგდებს, აკო, გენაცვალოს სიდედრი“, — ეუბნება ქალბატონი ძაღლს, ხოლო მას, რწყილიანს, წაკლა რომ უწოდეს, თვალები ცრემლით აევსება, კუდს ამოიძუებს და გაიფიქრებს: „მაგას თუ გაპატიებ, მე არ ვიყო ნუგზარ წიკლაური“.

მაქეთკენ მიდის საქმე, გასული კვირა ამის დასტური იყო. ამის დასტურია ნაც-ადვოკატის, ირაკლი ზაქარეიშვილის სიტყვებიც: „დავბრუნდი აქციიდან... მოვდიოდი მდუმარედ... ძალიან ღრმა და მრავლისმთქმელია მდუმარება, მით უმეტეს — ჩემი! მიმხვედრი მიხვდება, გამგები — გაიგებს... ვინც ვერ გაიგებს, იმათთვის ვიტყვი, რომ „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების!” ეგ არაფერი, საქმე წუნის გარეშე არ არსებობს... თუ საჭირო გახდება — დუმილსაც დავარღვევ და კედელსაც გავარღვევ, რათა სიმართლეს წინ ვეღარაფერი ჩამოეფაროს!“

21 მარტს ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ საკუთარი ხელით შეკრა თავისი ჩასასვენებელი, საკუთარი ხელით ჩააჭედა კუბოზე ლურსმნები, საკუთარი ხელით მიიყარა მიწა და თვითდასაფლავება მოიწყო.

ინტენსიური მზადება მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, ყველანი შეგუებულები იყვნენ, მხოლოდ შიგადაშიგ იგრძნობოდა ისტერიკა. იყო ერთმანეთის დამშვიდება, გამხნევება, მზადება... დასაფლავების ხარჯები კეზერაშვილმა იკისრა, ნეკროლოგი გოგიბედაშვილმა დაწერა, რექვიემი გულედანმა მიუძღვნა, სიტყვა სააკაშვილმა წარმოთქვა, ხოლო შემდეგ, ბოლოს, იყო ქელეხი. დიდი კოვზებით შეექცეოდნენ იმას, შეჩვეულს.

ძაღლი მიაკვდაო... — თუ არ ვცდები, ასე ამბობენ ხოლმე. ეგრე არასოდეს მითქვამს, ყოველთვის ვამბობ „ერთი მაგის სიდედრი... და მაგათი დედაც...“

გივი თარგამაძე: „აბა, თბილისო! ჩემო საყვარელო, მრავალნაცადო, ბრძენო თბილისო. დღეს ისევ მთელი საქართველო იკრიბება შენს გულში...16 საათი ახლოვდება. უკვე დროა, ავმოძრავდეთ, ერთმანეთი მოვიკითხოთ, სახლში არავინ დაგვრჩეს, ხელი ხელს ჩავკიდოთ და ვარდების მოედნიდან, რუსთაველით, თავისუფლების მოედანზე, ოჯახებისთვის, საქართველოსთვის, თავისუფლებისთვის!“

რაც მე ეგენი მომიკითხავს...

ზურაბ ჭიაბერაშვილი: „თავისუფლებას დიდება! დიდება თავისუფლებას!“

გოგა ხაჩიძე: „დღეს სტრატოსფეროში გაემგზავრება 19 მინისტრი და 1 პრემიერ-მინისტრი“.

გიული ალასანია: „ისევე, როგორც სხვა ადამიანებისთვის, ამ ორი წლის განმავლობაში, ჩემთვისაც ყველაფერი უარესობისკენ წავიდა“.

გიული ალასანია ამ სიტყვების შემდეგ ამ მთავრობაზე ცოტათი გული მომიბრუნდა.

„რაც შეეხება პარტიის ცნობილ მხარდამჭერებს, „ჩვენ მოვედით“ — შვილთან ერთად გადაღებული ფოტო ამ სახელწოდებით, ნაციონალების მხარდამჭერმა და პარტიის მიერ მთავრობის გადადგომის მოთხოვნით გამართულ აქციაზე მისულმა ნანუკა ჟორჟოლიანმა გამოაქვეყნა. ნანუკა ჟორჟოლიანის მსგავსად, აქციას სხვა ცნობილი მხარდამჭერებიც შეუერთდნენ, მათ შორის არიან დავიდ დეფი გოგიბედაშვილი, თამარ ჩერგოლეიშვილი, აჩიკო გულედანი, ნიკა ქავთარაძე და სხვა...“ — იუწყებოდა ჩემი მეგობარი სააგენტოს ახლობელი ვებგვერდი.

ცნობილი მხარდამჭერები მომეწონა ძალიან. დედით ცნობილებს იტყვიან ხოლმე ასეთ შემთხვევაში. მაგალითად, ავიღოთ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც 60-იანი წლებიდან მოყოლებული, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, სწორედაც რომ დედით იყო ცნობილი და იქნებ ბებიითაც. აღსანიშნავია, რომ მათდამი მადლიერება მან გასულ კვირაში უკრაინული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში გამოხატა:

„დილით, ცხრის ნახევარზე ჩემთან, კიევში დედა და ბებია ჩამოვიდნენ. რაღაც საშინელი წაულის ქურქები ეცვათ. გავხადე ქურქები, გამოვართვი ჩანთები და დედა უკან, თბილისში გამოვამგზავრე. მასთან ერთად, ჩემი თანაშემწე მერიკოც. ქართულმა ავტოინსპექციამ (გაი), დედაჩემი იცნო, აპლოდისმენტებით შეხვდა და ესკორტით გააცილა“.

სად აქვს და სად ეძებს! და განა მხოლოდ მიხეილ ჩაფსმული! სხვებიც — ბაქრაძე, დარჩიაშვილი, ნადირაშვილი, ნადარეიშვილი, ბობოხიძე, ხაბაზი... თენგიზ გუნავა: „ზუგდიდიდან აქციაზე 3 ათასზე მეტი ადამიანი წამოვიდა“. გიორგი ღვინიაშვილი: „კახეთიდან თბილისის მიმართულებით 150-მდე ავტომანქანა დაიძრა“. ნიკა მელია: „როცა 50 ათასი ადამიანი გამოდის ქუჩაში, უნდა მიხვდე, რომ შენით წახვიდე“.

მოკლედ, ზუგდიდიდან ჩამოვიდნენ ადამიანები, კახეთიდან ჩამოვიდნენ მანქანები და, ალბათ, სამტრედიიდან ჩამოვიდოდნენ ველოსიპედები, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ნიკა მელიას სიტყვებია — „როცა 50 ათასი ადამიანი გამოდის ქუჩაში, უნდა მიხვდე, რომ შენით წახვიდე“.

მართლა მელიაა... აი, ჭიჭიკია რესტორანში რომ არის ქალთან ერთად, ბიჭიკია ეკითხება, ვინ არის აი, ქალიო და ჭიჭიკია რომ პასუხობს, ქალი კი არა მელიაა, სამი ქათამი შეჭამა უკვეო...

და, დავით ბაქრაძე — ქლიბი. ტრასაზე რომ გაივლი. დანა-ჩანგლიან საგზაო ნიშანს რომ დაინახავ, თუ იცით, რას აღნიშნავს? რას და — „ზდეს პერვიმი პრაშლი ვილკი ი ლოჟკი ნაპილნიკა ბაკრადზე“.

„დღეს არის პირველი შემთხვევა, როცა ამ რაოდენობის პოლიცია და სპეცრაზმია მობილიზებული. ეს ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას ჩვენი შეეშინდა. გილოცავთ ყველას“, — ეს სიტყვები დავით ბაქრაძემ წარმოთქვა. არადა ჩვენ, ყველამ, რამდენიმე დღით ადრე, წავიკითხეთ ეს ნიუსი: „შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის განცხადებით, 21 მარტს დაგეგმილი აქციის ჩასატარებლად, სამინისტრო ნაციონალურ მოძრაობას კომფორტს შეუქმნის. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მინისტრი 21 მარტს ექსცესებს არ ელოდება“.

აბა, ამის შემდეგ რა უნდა ელაპარაკო ბაქრაძეების ქლიბს? ბაქრაძეების ქლიბთან ლაპარაკს არც აქვს აზრი და ახლა ზუსტად ვერც ვიხსენებ, ამასთან და ასეთებთან დაკავშირებით როგორ აქვთ ნათქვამი ჩვენს წინაპრებს - „ვირო, მადლი...“ თუ „ქლიბო, მადლი...“.

საბოლოო ჯამში, ხომ იცით, რა არის ხოლმე მთავარი კითხვა — „რამდენი არიან?“ მელიამ — 50 ათასიო, თუმცა, ეს ნიუსიც უნდა გავითვალისწინოთ: ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი აქციის მონაწილეებს დავით ბაქრაძემ აცნობა, რომ აქცია 16:00 საათისთვის ვერ დაიწყება, რადგან ხალხის რაოდენობის გამო, მათი მოსვლა ჭიანურდება. ბაქრაძის თქმით, იმდენი ადამიანი შეგროვდა ვარდების მოედანზე, რომ მათ ტრანსპორტიდან გადმოსვლა უჭირთ. „კოლონებმა თანდათან დაიწყეს შემოერთება. ძალიან ბევრი ადამიანი შეგროვდა ვარდების მოედანზე, იმდენად ბევრი, რომ მათი მანქანებიდან გადმოსვლა და ჩვენთან შემოერთება გაჭიანურდა. თუმცა ღირს ლოდინი, რადგან დღეს ჩვენ ძალიან ბევრი ვიქნებით“, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ“.

ქლიბო, ქლიბო, ნაცარავ, ვის უგალობ ვისა?

ვისა და... „„ეს მიტინგი თავისი მასშტაბით საქართველოს ბოლო პერიოდის ისტორიაში რეკორდული იყო, ადამიანები ყოველგვარი ფულისა და დამატებითი სტიმულის გარეშე მივიდნენ. ისინი, უბრალოდ, მივიდნენ, რომ გამოეხატათ საკუთარი უკმაყოფილება და მთავრობის გადადგომა მოეთხოვათ. ვფიქრობ, ისინი ამ ბრძოლას ბოლომდე მიიყვანენ. მიტინგი ძალიან ცივილიზებული, მშვიდობიანი იყო და მე ეს მახარებს, რადგან ბრიუსელიდან ჩემს მეგობრებთან ერთად ასეთი მასშტაბის აქციის ორგანიზება შემიძლია. თუ ამას უკრაინის მასშტაბებს შევადარებთ, ეს პრაქტიკულად მაიდანი იყო“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა“.

ერთი შევხედე და უკვე გასაგები იყო ყველაფერი — ნაციონალური მოძრაობის დასაფლავებას 10-12 ათასი ჭირისუფალი თუ ესწრებოდა, ხოლო ჩვენ ვიყავით თხუთმეტნი, ვიყავით ბუქარესტში და, როგორც ყოველთვის, გავიმარჯვეთ.

ამ თემაზე — ნაცების თვითდასაფლავებაზე — ბევრი შეიძლება თქვა და დაწერო, თუმცა, ვფიქრობ, სამი სიტყვითაც არის შესაძლებელი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გულისა და სულის კონსენსუსი დიდი ხანია, ეჭვს აღარ იწვევს. აი, ეს სამი სიტყვაც: „წადით, თქვენი დედაც!“

მით უმეტეს, რომ საკუთარ ქელეხში ერთმანეთი დაჭამეს. იმ ქელეხში არ იყო ნიგვზიანი ბადრიჯანი, ფხალი, ტკბილი ფლავი, ლობიო და შილა. ასევე, არ იყო ლოქო ქინძმარში, რამეთუ ლოქომ საკუთარი პარტია გააკეთა.

„ორგანიზაცია „ივერია“ საზოგადოებრივ მოძრაობად გარდაიქმნება და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს. „ივერიამ“ გუშინ მარჯანიშვილის თეატრში საზოგადოებასთან შეხვედრა გამართა, სადაც თავის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. როგორც შეხვედრის დაწყებამდე ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განუცხადა, ჯგუფმა თავდაპირველად არსებობა დაიწყო როგორც დამოუკიდებელმა ინტერნეტგაზეთმა და ავტორიტეტიც მოიხვეჭა. მაგრამ პოლიტიკური ჩარევისგან თავს იკავებდა. თუმცა ახლა ეს რეალობა შეიცვალა. „ჩვენ ვთვლიდით, რომ ჩვენი საქმეა, საქართველოს მოქალაქეებს შევატყობინოთ დამოუკიდებელი, ობიექტური აზრი იმ მოვლენებზე, რომელიც საქართველოს ინტერესს წარმოადგენდა, მაგრამ სამწუხაროდ, ისე მოტრიალდა ჩვენი ქვეყნის განვითარების გზა, რომ ერთდროულად აღმოვჩნდით სავალუტო, ფინანსურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში. ამიტომ გადავწყვიტეთ, იმ ფორმიდან, რომლიდანაც ვართ, ანუ დამოუკიდებელი გაზეთის ფორმიდან, უკვე გადავიდეთ მოძრაობაში“, — აღნიშნა გრიგოლ ვაშაძემ“.

ჩვენში დარჩეს და, რომელს გსმენიათ „სახელმოხვეჭილი ინტერნეტგამოცემა „ივერია“? სამაგიეროდ, გვსმენია სასტუმრო „ივერია“ და ანსამბლი „ივერია“ და ორივე მათგანი ისტორიის ნაწილია. ასევე, არსებობს სოსისი „ივერია“ და გასული კვირიდან მოყოლებული, არსებობს ლოქო „ივერიაც“.

რა ვიცი, რა ვიცი... საკვირველი ის არის, რაღა „ივერია“ აირჩია ანანიაშვილის ლოქომ. მაგის პარტიას უფრო „რიაზანშჩინა“ და „ტამბოვშჩინა“ მოუხდებოდა.

რას გაიგებ... გაგება მთავარია და მეც გამიგეთ — მახველებს, მცივა და ჰენრი მილერს დავით სარაჯიშვილი უნდა დავაყოლო.

ვირუსები იცვლებიან, მეთოდი იგივეა და ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

„პარტიები იცვლება. მუდმივად ერთი პარტია ვერ იქნება ქვეყნის სათავეში. ეს აბსოლუტურად ნორმალური, დემოკრატიული პროცესია. ის, რომ ერთხელ გაგიშვეს სახლში, ეს არ ნიშნავს, რომ უკან არასოდეს მობრუნდები. მიტინგი, რომელიც ხვალ იმართება, ეს არ არის ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნების მიტინგი, ეს არის ქვეყნის გადარჩენისთვის გაკეთებული მიტინგი“, — ოპტიმისტურად იყო განწყობილი ირმა ნადირაშვილი.

ჰოოო... ეგ მართალია — ის, რომ ერთხელ გაგიშვეს სახლში, არ ნიშნავს, რომ უკან არასდროს მობრუნდები, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა ხომ სახლში არ გაგვიშვია? ნაციონალური მოძრაობა გავუშვით შორს, თვითდასაფლავება კი მათივე კეთილი ნება იყო.

წაქცეულები იყვნენ... „წაქცეულს არ ურტყამენ“ — ამბობდნენ ძველი ქართველები. ახალი ქართველები ევროპულად ვაზროვნებთ — „წაქცეულს წიხლიც მიაყოლე“.

მივაყოლე. წყალი მოითხოვა...

კიდევ მივაყოლე.

ნ.ა.ი. (წყალს არა იმას) „რა ვქნა? გავძეხი... — საბრალოდ თქვა ჩიჩიომ. სახე მოეღრიცა. — მე მგონი, ნამდვილად მეტი მომივიდა, ჰაალე...“ ოთო-ექიმი ტახტიდან წამოდგა, შარვალი კოხტად ჩამოკიდა. „რა ვქნა? — იკითხა ისევ ჩიჩიომ, — მეტი მომივიდა, რა ვუყო? აა?“ — მუცელზე ფრთხილად მიიდო ხელები, სახემობრეცილმა თვალები სიმწრით მილულა, „წყალი დამალევინე... დომენიკო, რა... ოღონდ გამჭვირვალე ჭიქით...)

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

21 მარტის პოლიტიკური თამაშები

გიორგი გიორგაძე

მიუხედავად იმისა, რამდენი ადამიანი მივიდა, 21 მარტი ქართულ პოლიტიკაზე თავის კვალს მაინც დატოვებს, რადგან ბუნებაში უკვალოდ არაფერი იკარგება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ის 12 თუ, როგორც ნაციონალები ამბობენ, 60 ათასი მომიტინგეც ამ ქვეყნის მოქალაქეა, თან გასათვალისწინებელია, რომ ნაცმოძრაობას მყარი ელექტორატი ჰყავს — ეს ამომრჩევლის, ძირითადად, ის კატეგორიაა, რომელმაც რაღაც კარიერულ წარმატებას, თუნდაც მინიმალურს, სწორედ ნაციონალების 9-წლიანი მმართველობის დროს მიაღწია. ამას დავუმატოთ ისინი, ვინც თვითონ ან ოჯახის წევრები და ახლობლები სახელისუფლო თუ ხელისუფლებასთან დაახლოებულ სტრუქტურებში იყვნენ დასაქმებულნი და ხელფასს, როგორც იტყვიან, არაფერში იღებდნენ. ამ თემაზე საუბრისას, ბუნებრივია, ე.წ. კოორდინატორ ქალთა არმიაც არ უნდა გამოვტოვოთ, რომელსაც, ძირითადად, სამეზობლოს თვალთვალი ევალებოდა. როგორც „ვერსიას“ საქმეში ჩახედულები უხსნიან, კოორდინატორი ქალები, მართალია, ჯამაგირი ოდნავ შეუმცირდათ, მაგრამ თვალთვალ-დაბეზღებას უწინდებურად განაგრძობენ და სწორედ ამიტომაც აქვს ნაცმოძრაობას სრული სურათი იმის შესახებ, რაც ქვეყანაში ხდება.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, კიდევ ერთი ნიუანსია: 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან მოყოლებული, არაერთი არასამთავრობო შეიქმნა, რომელიც, როგორც წესი, ყოფილ ხელისუფლებასთან ასოცირდება. ამ არასამთავრობოებში, უმეტესად, ნაციონალები არიან დასაქმებულნი და, ბუნებრივია, ხელფასსაც იღებენ. ეს ინფორმაცია, სავარაუდოდ, ხელისუფლებასაც აქვს და, ალბათ, სწორედ ამიტომ განაცხადა პრემიერმა, მიტინგზე ხალხი მოსყიდვითა და დაშინებით მიიყვანესო.

რაც შეეხება დაშინებას, ისევ აქტუალურია ე.წ. მეგის ქარდავას სკივრი, სადაც, როგორც ამბობენ, თითო კომპრომატი საქართველოს ყველა მოქალაქეზე ინახება (ამ კადრების უმეტესობა, როგორც ხმა დადის, ინტიმურია).

ერთი სიტყვით, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის, რომ 21 მარტის აქციაზე იმდენი ხალხი მივიდა, რამდენიც მივიდა. რაოდენობაზე მეტად მნიშვნელოვანი, ალბათ, ის მესიჯებია, რომელიც „ყოფილებმა“ მიტინგზე გააჟღერეს ანუ შეიქმნება სპეციალური კომიტეტები და ქვეყნის მასშტაბით, ეტაპობრივად, სხვადასხვა ადგილას პიკეტები მოეწყობა. ვერ ვიტყვით, რომ ეს გადატრიალების გეგმაა, მაგრამ, როგორც „ვერსიას“ ექსპერტები უხსნიან, პერმანენტული აქციები და პიკეტები ჩვენს ისედაც შელახულ საერთაშორისო იმიჯზე, განსაკუთრებით, ინვესტიციების კუთხით, სერიოზულად იმოქმედებს. არადა, ფაქტია, ეკონომიკასა და ლარს ინვესტიციები, მით უმეტეს, დღეს, ისე სჭირდება, როგორც თევზს — წყალი.

ნაციონალებსაც, ალბათ, ეს გათვლა აქვთ. აკი, ყოფილმა პრეზიდენტმა, რომელიც აქციის მონაწილეებს კიევიდან მიესალმა, განაცხადა კიდეც, რომ ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპზე გადადიან.

ალბათ, დააკვირდით, რომ ნაცმოძრაობა ხელისუფლების კი არა, მთავრობის გადადგომას ითხოვს. ხელისუფლების გადადგომა იმას ნიშნავს, რომ მინისტრთა კაბინეტთან ერთად, პარლამენტიც შინ წავიდეს და ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს, რაც, როგორც ამბობენ, ყველაზე მეტად, ქართული პოლიტიკის რუსულ ფრთას ანუ ე.წ. მეხუთე კოლონას აწყობს.

ჩრდილოეთისკენ მიდრეკილება, ბუნებრივია, ნაციონალებსაც აქვთ და ამას, სხვა თუ არაფერი, ის 400-ზე მეტი რუსული სახელმწიფო ან სახელმწიფოსთან ასოცირებული

კომპანიაც მოწმობს, რომელიც საქართველოში ნაცმოძრაობის 9-წლიანი მმართველობის დროს შემოვიდა, მაგრამ მკვეთრად გამოხატული რუსული ინტერესებით მაინც სხვა ძალები გამოირჩევიან. პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ მეხუთე კოლონა არცთუ მძლავრია, ამიტომ მის ინტერესშია, რაღაც ისეთი მოხდეს, რაც ვითარებას კულმინაციამდე მიიყვანს და ეკონომიკურად გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ხალხი რადიკალურ ნაბიჯებზეც თანახმა იქნება.

„ერთ-ერთი ასეთი მაპროვოცირებელი ფაქტორი, შესაძლოა, ევრაზიულ კავშირში შესვლა-არშესვლასთან დაკავშრებით რეფერენდუმის საკითხი გახდეს. როგორც გავიგე, ერეკლე მეორის საზოგადოება პრემიერს მიმართავს, ევრაზიულ კავშირზე რეფერენდუმი დაინიშნოს. ჯერ ერთი, გაუგებარია, რეფერენდუმი დღის წესრიგში რატომ დადგა, რამეთუ რამდენიმე წლის წინ, პლებისციტმა აჩვენა, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას უჭერს მხარს; მეორეც, თუ ისე მოხდა, ევრაზიულ კავშირზე რეფერენდუმი დაინიშნა, ხომ წარმოგიდგენიათ, ნაციონალები რა ამბავს ატეხენ? გარანტიას გაძლევთ, ამ შემთხვევაში, სისხლიანი შეტაკებები გარდაუვალი იქნება. ისე, ჩემი აზრიც თუ გაინტერესებთ, ევრაზიულ კავშირზე არამცთუ რეფერენდუმი, ლაპარაკიც კი მარაზმი მგონია“, — უთხრა „ვერსიას“ ერთ-ერთმა წყარომ.

ასე რომ, მეხუთე კოლონა სრულ მზადყოფნაშია.

სხვათა შორის, 21 მარტამდე კულუარებში ის ხმაც დადიოდა, რომ აქციაზე გარკვეული პროვოკაციები სწორედ ვითარების დრამატიზებისთვის იგეგმებოდა, მაგრამ, როგორც „ვერსიას“ აუხსნეს, მთავრობამ და შსს-მ კარგი გადაწყვეტილება მიიღო, როცა 21 მარტის აქციის ორგანიზატორებთან კონსულტაცია გამართა. შს მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა დანაპირებიც შეასრულა და მიტინგის მონაწილეებს, მართლაც, კომფორტული გარემო ჰქონდათ.

ორი სცენარი, რაც შეიძლება 21 მარტის აქციას მოყვეს, უკვე განვიხილეთ, თუმცა პოლიტიკურ კულუარებში ყურადღებას მოვლენების განვითარების კიდევ რამდენიმე გეგმაზე ამახვილებენ.

ასე, მაგალითად, ამბობენ, რომ უკიდურეს შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, ნაციონალები და პრორუსები გარკვეულ კონდიციამდე მივიდნენ ანუ შეთანხმდნენ, „ყოფილები“ ჩრდილოეთურ სცენარს გაითავისებენ და, მთავრობასთან ერთად, ხელისუფლების გადადგომასაც მოითხოვენ, ოღონდ იმ პირობით, რომ ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, ახალ პარლამენტში თანამდებობებს პარიტეტის პრინციპით გაინაწილებენ და მთავრობაშიც მინისტრთა სავარძლებს სწორედ ამ პრინციპით მიიღებენ.

„შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ არსებობს მოვლენათა განვითარების კიდევ ერთი გზა: ბიძინა ივანიშვილი, ირმა ნადირაშვილმა და სხვებმა რაც უნდა იძახონ, ჭკვიანი კაცია. მართალია, 21 მარტს თავისუფლებაზე ზღვა ხალხი არ გამოვიდა, მაგრამ რაც გამოვიდა, ისიც საკმარისია, რომ ივანიშვილმა დასკვნა გამოიტანოს ანუ ალბათობა, უკმაყოფილება გაიზარდოს, ბუნებრივია, არსებობს. სწორედ ამიტომ, პირადად მე, არ გამოვრიცხავ, ყოფილმა პრემიერმა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები შეიტანოს“, — უთხრეს „ვერსიას“ პოლიტიკურ კულუარებში, თუმცა იმ მინისტრების ვინაობა, რომლებმაც შესაძლოა, სავარძლები დატოვონ, არ დაუკონკრეტებიათ. მოარული ხმის მიხედვით კი, გასათავისუფლებელთა კანდიდატურებს შორის, შესაძლოა, იუსტიციის მინისტრი აღმოჩნდეს. სხვათა შორის, ნაციონალები „ქვეყნის მთავარ დამაქცევრად“ სწორედ თეა წულუკიანს ასახელებენ და ამბობენ, რომ თუნდაც ტურისტთა ნაკადის შემცირება იმ კანონის გამოძახილია, რომელიც წულუკიანის უწყებამ მოამზადა. სამაგიეროდ, თავად იუსტიციის მინისტრი ასე არ ფიქრობს და ამბობს, რომ ე.წ. სავიზო კანონით ამაყობს.

საერთოდ, პოლიტიკა ისეთი დარგია, ყველას თავი გენიოსი ჰგონია, მაგრამ რასაკვირველია. ასე არ არის. ალბათ, თბილისის მერიც თვლის, რომ კარგი ხელმძღვანელი მუშაკია, მაგრამ მერიის უწყებებში ქრთამის ფაქტების გამოვლენის ტენდენციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დავით ნარმანიას არც ე.წ. ელბაქიძის დაღმართის მოასფალტებას უწონებენ. ყოფილმა პრემიერმა, ორი დღის წინ, ჟურნალისტებთან საუბრის დროს, პრაქტიკულად, პირდაპირ თქვა, რომ ნარმანია ის არ აღმოჩნდა, ვინც ეგონა. სწორედ ამ მესიჯიდან გამომდინარე, ზოგი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ 21 მარტი ბატონ დავითსაც მძიმედ დაამახსოვრდება, რადგან არჩევის მიუხედავად, შესაძლოა, იძულებული გახდეს, თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება მიიღოს.

ერთი სიტყვით, 21 მარტი სერიოზული წყალგამყოფია და ვინძლო, ქართულ პოლიტიკაში ასეთი ტერმინებიც გაჩნდეს: „მოვლენები, რომლებიც 21 მარტამდე ხდებოდა“ და „მოვლენები, რომლებიც 21 მარტის შემდეგ მოხდა“.

რა მოხდება კონკრეტულად 21 მარტის შემდეგ? — ამაზე სკურპულოზურად ლაპარაკი, ცხადია, არ შეიძლება, მაგრამ, როგორც ამბობენ, მოქმედების ტაქტიკასა და სტრატეგიას ყველა პოლიტიკური მოთამაშე შეცვლის, მათ შორის, ნაცმოძრაობა, „ოცნება“ და რუსული სეგმენტიც.

ამასობაში კი, მსოფლიო, შესაძლოა, შოკისმომგვრელმა ახალმა ამბავმა გადაფაროს: ისინი, ვინც მსოფლიო პოლიტიკას თვალს ადევნებენ, არ გამორიცხავენ, აშშ-ს პოლიტიკურმა ელიტამ გამონაკლისი დაუშვას და, მიუხედავად იმისა, პრეზიდენტობა რესპუბლიკელებს უწევთ, ყველაფერი გააკეთოს დემოკრატი ჰილარი კლინტონის გასაპრეზიდენტებლად. ეს იქნება პრეცედენტი, როცა მსოფლიოს ზესახელმწიფო იტყვის, ჩვენ მხოლოდ შავკანიანებს კი არა, ასპარეზს ქალებსაც ვუთმობთო.

სხვათა შორის, იმაზე მინიშნება, რომ საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, შესაძლოა, ქალი იყოს, ამას წინათ, ჩვენმა პრეზიდენტმაც გააკეთა. ზოგმა ჩათვალა, რომ გიორგი მარგველაშვილმა მინიშნება ნინო ბურჯანაძეზე გააკეთა. ზემოთ განხილული რუსული სცენარიდან გამომდინარე, ამის დაშვებაც შეიძლება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ სალომე ზურაბიშვილი, რომელიც დღეს ე.წ. დამკვირვებლის როლშია — პოლიტიკაში აქტიურად არ ერევა, მაგრამ მნიშვნელოვან მომენტში საგანგებო განცხადებას ავრცელებს ხოლმე.

ერთ სიტყვით, ასეთია 21 მარტის თეზისები, თუმცა პოლიტიკა, მით უმეტეს, ჩვენებური, ხომ ანალიზსა და პროგნოზებს არასოდეს ექვემდებარება.

„როგორ წარმოგიდგენიათ, 4 შვილის მამას ძალით მომყავს ბავშვები და სააკაშვილის სისხლიან რეჟიმზე ფილმს ვაყურებინებ?“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ვინ არის და რა მიზნით შექმნა გია სალუქვაძემ „ციხის კადრებზე“ დოკუმენტური ფილმი

ბოლო დროს ე.წ. ციხის კადრები ისევ აქტუალურია: სხვადასხვა ადგილას პატიმართა წამებსა და ნაციონალთა 9-წლიან სხვა „საგმირო საქმეებზე“ დოკუმენტური ფილმის ჩვენება იმართება. ფილმის, ასე ვთქვათ, მონტაჟის ავტორი პოლიტპატიმარი გია სალუქვაძეა, რომელიც ამბობს, რომ „ციხის კადრებში“ ახალი არაფერია, თუმცა ტელევიზიებით თავის დროზე გასული კადრების ნაკრებმა აჟიოტაჟი იმის გამო გამოიწვია, მოსწავლეებს თითქოს მიზანმიმართულად აჩვენეს. რა მოხდა სინამდვილეში და რა მიზნით გადაიღო ფილმი ყოფილმა პატიმარმა? — „ვერსია“ სახალხო კრების ყოფილ წევრს, პოლიტპატიმარ გია სალუქვაძეს ესაუბრა.

— სახალხო კრების აქტიური წევრი ვიყავი და 26 მაისის აქციაშიც ვმონაწილეობდი. 31 მაისს დამიჭირეს — სახლიდან გამიტაცეს და მეუბნებოდნენ, ჩვენება მიმეცა, რომ ირაკლი ბათიაშვილი და ბადრი ბიწაძე რუსეთიდან ფინანსდებოდნენ. სასურველი ჩვენება რომ ვერ მიიღეს, დაწერეს, თითქოს პოლიციას წინააღმდეგობა გავუწიე და 4 წელი მომისაჯეს. 2013 წელს პოლიტპატიმრის სტატუსით გავთავისუფლდი და დავით სალარიძესთან, მერაბ თორიასთან, ბექა პაპაშვილსა და სხვებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაცია შევქმენი.

— ციხიდან გამოსული ნინო ბურჯანაძესთან რატომ აღარ დაბრუნდით?

— რომ არა ხელისუფლება, რომელმაც პოლიტპატიმრის სტატუსი მომცა, დღეს ისევ ციხეში ვიქნებოდი.

— თუკი ასეა, წესით, „ოცნებაში“ უნდა მისულიყავით...

— ჩემთვის „ოცნების“ ბევრი რამ მიუღებელია, ამიტომ ვარჩიე, სამოქალაქო სექტორიდან მეაქტიურა. პოლიტიკური ამბიციები არც აქამდე მქონია და არც ახლა მაქვს. ჩვენს ორგანიზაციას, ვფიქრობ, ბევრი საინტერესო პროექტი აქვს, რომელსაც საზოგადოებას ნელ-ნელა გავაცნობთ.

— ერთ-ერთი პროექტი, ალბათ, ყბადაღებული ფილმია, რომელმაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და რომელშიც ახალი, ფაქტობრივად, არაფერია, არა?

— ასეა. ფილმი სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით გასული სიუჟეტებისგან შედგება. კადრები, უბრალოდ, ქრონოლოგიურად დავალაგეთ და დავამონტაჟეთ. მთავარი, რაც ამ ფილმშია, ის საერთაშორისო გამოხმაურებაა, რაც თავის დროზე, ამ კადრების ეთერში გასვლას მოჰყვა. არსებობს თომას ჰამერბერგის, კეტრინ ეშტონის, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის, ევროკავშირის შეფასებები და დოკუმენტები, რაც ციხის კადრებს დავურთეთ. ყველაფერი ეს საჯარო სივრცეში იყო განთავსებული. ფილმის პირველი ჩვენება ბრიუსელში, ევროპარლამენტის პრესკლუბში გაიმართა და სხვადასხვა ქვეყნის იმ მაღალჩინოსნებმა ნახეს, რომლებიც ძველი ხელისუფლების პოლიტიკურ დევნაზე საუბრობდნენ. ამ ფილმით ყველა შოკირებული იყო. ჩვენი ძირითადი მიზანიც ეს გახლდათ — საერთაშორისო თანამეგობრობას, პრაქტიკულად, მასალა მივაწოდეთ და ვიღაცის მონათხრობი კი არ გადაგვეცით, პირადი გამოცდილება გავუზიარეთ. მაშინვე დაანონსდა, რომ თებერვალ-მარტში ფილმის ქართულ ვერსიას საქართველოშიც ვუჩვენებდით. ეს ვერსიაც შეიქმნა და ფილმი აჭარაში, სამეგრელოსა და სხვა რეგიონებში წავიღეთ.

— ფილმის შექმნის მიზანი რა იყო?

— ფილმის ძირითადი მიზანია, დღევანდელ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ შევახსენოთ, კეთილი ინებოს და, სწრაფად, კვალიფიციურად გამოიძიოს საქმეები და რეალური დამნაშავეები დასაჯოს. ჩვენთვის სულ ერთია, ვინ რომელი პარტიის წევრია — დამნაშავე უნდა დაისაჯოს. რა პასუხს გვცემენ მე და ჩემს მეგობრებს, როცა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, პარლამენტმა პოლიტპატიმრად გვაღიარა, მსჯავრი კი მაინც გვაქვს, რაც ჩვენთვის დამაბრკოლებელი გარემოებაა? რატომ არ მიმდინარეობს გამოძიება? ციხიდან არჩილ კბილაშვილს მივმართე, გამოძიება დაიწყო და მესამე წელია, არ დასრულებულა. სამართლიანობა მხოლოდ სიტყვით კი არა, საქმითაც უნდა აღდგეს!

— ბევრმა იფიქრა, რომ ნაციონალების აქციის წინ, ეს მძიმე კადრები სპეციალურად, ხელისუფლების მხარდასაჭერად დაატრიალეთ. არადა, როგორც ახლა ვიგებ, „ოცნების“ მიმართ უფრო მეტი პრეტენზია გაქვთ.

— ხელისუფლებამ ფილმის ჩვენებაზე ისეთი მწვავე შეფასებები გააკეთა, ასეთი განცხადებები ოპოზიციასაც გაუკეთებია. ნაციონალების დაანონსებული აქციები სულ არ მაინტერესებს. ამ ფილმის ჩვენება გაცილებით ადრე, თებერვალში დავაანონსეთ. ჩვენების ორგანიზატორები ის პოლიტპატიმრები და ქონებაწართმეული ბიზნესმენები არიან, ვისაც პირდაპირი ინტერესი აქვს, ქონება დროულად დაუბრუნონ და მსჯავრი მოუხსნან. უბედურება ისაა, რომ ამ ხნის განმავლობაში, ფილმით ერთი მედიასაშუალებაც არ დაინტერესებულა, არავინ დასწრებია, არავის გაუშუქებია, როგორ შეხვდა ფილმს მოსახლეობა. ახლაც მომდის წერილები სხვადასხვა რაიონიდან, ჩვენთანაც ჩამოდით, კიდევ ერთხელ გვანახეთო.

— ბატონო გია, ფილმი მოსწავლეებს მართლა აჩვენეთ?

— როგორ წარმოგიდგენიათ, მე, 4 შვილის მამა, დავდივარ სკოლებში, ბაღებში, ძალით მომყავს ბავშვები და სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის შესახებ ფილმს ვაყურებინებ? ეს ხომ აბსურდია?! ადგილზე კი ყველაფერს ვერ გავაკონტროლებდით. ზუგდიდში ფილმის ჩვენების ორგანიზატორი პოლიტპატიმარი ჯონი ჯიქია და ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე, მერაბ ქვარაია იყვნენ, რომელთან ერთადაც ციხეში წლები გავატარე. ფოთში კი სხვა რამ მოხდა: ვიდრე ჩვენებას დავიწყებდით, დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა, აქ „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენელი პროვოკატორები არიანო. დარბაზი მათ გაძევებას კატეგორიულად ითხოვდა. ფილმის დაწყებისთანავე, გავიდნენ და 10-12 ბავშვი დემონსტრაციულად გაყვა.

— ანუ, იზიარებთ მოსაზრებას, რომ ბავშვები ნაციონალებმა მოიყვანეს?

— მხოლოდ იმას ვამბობ, რაც საკუთარი თვალით ვნახე, თუმცა დარბაზში სხვა ბავშვებიც იყვნენ — ამას არ უარვყოფ. ნაციონალურ მოძრაობას ფილმის შინაარსიდან აქცენტის გადატანა უნდოდა და ბავშვების თემაც ამიტომ გაახმაურა. ჩვენება ფოთის თეატრში გაიმართა, რომელიც იჯარით ავიღეთ. რაიონებში კლუბებისა და კინოდარბაზების დეფიციტია, ერთ შენობაში ხშირად ბავშვები სხვადასხვა წრეზე დადიან, რეპეტიცია მიდის და ა.შ. ფილმის ჩვენების დროსაც ასე იყო — ჯერ ფოთის თეატრის დასი რეპეტიციობდა, მერე ბავშვებიც მოვიდნენ ქორეოგრაფიის წრეზე. როგორ გამეკონტროლებინა, ჩვენებას ერთი ბავშვიც არ დასწრებოდა?!

— ესე იგი, აჟიოტაჟი ცუდ ორგანიზებას უნდა დავაბრალოთ, თორემ დარწმუნებული ვარ, არ გინდათ, თქვენს 4 შვილს, ჩაბნელებულ დარბაზში, დიდ ეკრანზე მსგავსი კადრები აჩვენონ.

— ვადასტურებ, ჩვენი ფოკუსჯგუფი ბავშვები არ ყოფილან. აბსურდული აზრებიც გაისმა, რომ ეს ფილმი ამომრჩეველზე იყო გათვლილი და ა.შ. ითქვა ისიც, თითქოს ფილმში გაუპატიურების სცენებია. ეს სისულელეა! პარალელს არ ვავლებ, მაგრამ 2000 წელს, როცა მიხეილ სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი იყო, მეცხრეკლასელები ორთაჭალის კრიტში წაიყვანა. გიდი თავად იყო, ბავშვებს კრიტის ჯურღმულებს უჩვენებდა და უყვებოდა, როგორ ხვრეტდნენ კომუნისტები ადამიანებს. ოსვენციმში ახლაც არსებობს ფაშისტური რეჟიმის მუზეუმი, სადაც გერმანელებს ბავშვები ორგანიზებულად დაჰყავთ. იაპონიაში ხიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის მუზეუმი ფუნქციონირებს, სადაც ასევე დადიან ბავშვები, მაგრამ აზრად არავის მოსდის, ბავშვების მიმართ მათი სიყვარული ეჭვქვეშ დააყენოს. ამ ფილმის კადრები კი ყველა არხზე გადიოდა და მაშინ რატომ არავინ აღშფოთდა? ეს ფილმი სამი თვეა, Youtube-ზე დევს. ჩვენს შვილებს კი ყველაფერი ფილმში კი არა, საკუთარ ოჯახებში აქვთ ნანახი და გადატანილი. რა, ჩვენი შვილები ბავშვები არ არიან?! ზოგიერთ ჩვენებაზე მშობლებმა ბავშვები სპეციალურად მოიყვანეს, დიახაც, უნდა ნახონ, ხალხმა რა გადაიტანაო. ყველა ჟურნალისტს, ვინც მაკრიტიკებდა, ვკითხე, ფილმი თუ გაქვს ნანახი-მეთქი და მიპასუხა, არაო. აბა, რომელ კადრებზე მედავებით, რა იყო იქ ისეთი, რისი ჩვენებაც ბავშვებისთვის დაუშვებელია? რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობ, რომ ამ ფილმს ბავშვებმა უნდა უყურონ.

— ამ შენიშვნას ვერ მივიღებ, რადგან ფილმი ვნახე. მართალია, გაუპატიურების კადრები არაა, მაგრამ არის, მაგალითად, ე.წ. კარანტინის დაშლის უმძიმესი ეპიზოდი, რომლის ბავშვისთვის ჩვენებაც მიუღებლად მიმაჩნია.

— როცა კარანტინის დაშლის კადრები პირველად ვნახე, ვთქვი, რომ სწორედ ეს გახდებოდა წინა ხელისუფლების აღსასრული. ეს კადრები იმ სისტემური დანაშაულის მხილებაა, რაც ნაციონალების დროს ხდებოდა. ყველაზე მეტი გამოხმაურება უცხოელი დიპლომატებისგან მივიღეთ, რომლებიც მეკითხებოდნენ, ეს ფორმიანი ხალხი ვინააო. გაოგნდნენ, როცა ჩამოვუთვალე, ზოგი რეჟიმის უფროსი იყო, ზოგი ციხის, ზოგიც დეპარტამენტისა. სწორედ ამის გახმაურება არ სურდათ ნაციონალებს, დღევანდელ ხელისუფლებას კი რა აფერხებს, არ მესმის, როცა ხელთ უტყუარი არგუმენტები აქვს.

— ბატონო გია, სადავოა, ამ ფილმის ჩვენება სამართლიანობის აღდგენის მისაღწევად რამდენად სწორი გზაა. სხვა გზით ბრძოლაზე არ გიფიქრიათ?

— ცოტა ხნის წინ გაჟღერდა, რომ პროკურატურაში შეიქმნა დეპარტამენტი, რომელიც სამართალწარმოებისას დაშვებულ შეცდომებს გამოიძიებდა. როგორც ვიცი, ამ დეპარტამენტს ჯერ მუშაობა არ დაუწყია. ცოტა ხანს დავაცდით და ვნახავთ, რა ინტენსივობით იმუშავებენ. ამ ფილმის საჯარო ჩვენებით ერთი კანონის ერთ მუხლსაც არ ვარღვევთ, მაგრამ, რაც ორგანიზებაზე მითხარით, გეთანხმებით, ამიტომ ამიერიდან, როცა ფილმს გავუშვებთ, თუკი კიდევ ვინმე გაბედავს პროვოკაციის მოწყობას, კარში პირადად გია სალუქვაძე ჩადგება!

ვერსიანიუსი

ილია II: „ყველაზე დიდი სასწაული ადამიანია!“

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის განცხადებით, ყველაზე დიდი სასწაული ადამიანია. პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას ადამიანის ბუნებაზე იქადაგა.

„ადამიანი მუდამ ეძებს სასწაულს. ყოველ წუთში სასწაულს ვხედავთ, მაგრამ ვერ ვგრძნობთ მას. ჩვენ ის ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნია. ყველაზე დიდი სასწაული არის თვითონ ადამიანი. უპირველეს ყოვლისა, ვიცით, რომ ადამიანი შექმნილია ხატად და მსგავსად ღვთისა. ადამიანმა მსგავსება ღვთისა თავისი სულიერი მოღვაწეობით უნდა მოიპოვოს. ყველაზე დიდი არის ის, როცა ადამიანი გრძნობს, თუ ვინ არის იგი. ადამიანმა უნდა იგრძნოს, რომ არის ხატება ღვთისა, ადამიანმა უნდა იგრძნოს თავისი დანიშნულება, თავისი მოვალეობა, თავისი ადგილი უნდა იპოვოს. ყოველი ადამიანი არის უდიდესი ქმნილება ღვთისა და უდიდესი სასწაული. ეს დიდება ჩვენს თავში უნდა დავინახოთ. მახსენდება ჩემი სტუდენტობის დრო. მყავდა სულიერი გამოცდილი მოძღვარი, პროფესორი, დეკანოზი კოზლოვი. მახსოვს, მისი ქადაგება: — ორი ასტრონომი სეირნობს. ერთი ეუბნება მეორეს: — მთელი სიცოცხლე პლანეტებს და კოსმოსს ვსწავლობ და არსად ღმერთი არ დამინახავსო. მეორე ეუბნება: — ჩაიხედე გულში და გულში დაინახავ ღმერთსო. გვავიწყდება, ჩავიხედოთ გულში, ჩავიხედოთ სულიერი თვალით და ღმერთს აუცილებლად დავინახავთ, ხოლო თუ დავინახავთ ღმერთს, ადამიანს აუცილებლად გაუჩნდება მადლიერების გრძნობა“, — ბრძანა კათალიკოს-პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას. ილია მეორის გადაწყვეტილებით, ღვთისადმი მადლიერების დღე დაწესდა, რომელიც ამ წლიდან ყოველ აღდგომა დღეს აღინიშნება.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-ს არქივის მიერ გამოცემული კალენდარი ქართველი გმირების შთამომავლებს გადაეცათ

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივმა XX საუკუნის ქართველი გმირების შთამომავლებს უმასპინძლა. შსს-ს აკადემიისა და არქივის ხელმძღვანელებმა არქივის მიერ გამოცემული, 2015 წლის კალენდარი გადასცეს, რომელიც ქართველი გმირების ისტორიებს ეძღვნება. ღონისძიებას გმირების შთამომავლები: ილამაზ მიწიშვილი, ლელა გოთუა, გურანდა ღვალაძე, გოგი მუსხელიშვილი, რეპრესირებულთა შვილები, შსს-ს აკადემიის რექტორი ნუკრი გელაშვილი, შსს-ს არქივის დირექტორი ომარ თუშურაშვილი და უწყების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ. 2015 წლის კალენდარი ეძღვნება XX საუკუნის ქართველ გმირებს, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის მიერ იდევნებოდნენ და რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ. კალენდარში წარმოდგენილია 12 ქართველი მამულიშვილის ბიოგრაფიული მონაცემები, მათი ცხოვრების საინტერესო დეტალები და სამშობლოსათვის თავგანწირვის მაგალითები. ესენი არიან: მწერალი ლევან გოთუა, ცისფერყანწელი ნიკოლო მიწიშვილის მეუღლე თამარ ბაგრატიონი, გენერალი როსტომ მუსხელიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი ევგენი ღვალაძე, მომღერალი დავით (დათაშკა) კავსაძე, პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ფილოლოგი ქრისტინე შარაშიძე და სხვანი. ღონისძიებაზე სტუმრებს უჩვენეს დოკუმენტური ფილმი „ბრძანება №00486“, რომელიც 1937-1938 წლებში რეპრესირებულ ქალებს ეძღვნება, მათ შორის არიან: ევგენი მიქელაძის მეუღლე ქეთევან ორახელაშვილი, რეჟისორ ლანა ღოღობერიძის დედა — ნუცა ხუციშვილი, ქართული არისტოკრატიის თვალსაჩინო წარმომადგენელი ბაბო დადიანი. ფილმში წარმოდგენილია კინორეჟისორ ლანა ღოღობერიძის მოგონებები, ისტორიკოსების მიმოხილვა და თავად რეპრესირებული ქალების მოგონებები. „ბრძანება №00486“-ში ასევე ნაჩვენებია ის რთული გზა, რომელიც რეპრესირებულმა ქალებმა გადასახლებაში და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ განვლეს.

„ვერსიანიუსი“

„მუღამი გამიქრა!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ეს ის შალვა აღარ არის! ყოველ შემთხვევაში, მუღამდაკაგრული, არაეპატაჟური და ცოტა გულახდილიც მეჩვენა, თუმცა თავად ამტკიცებს, რომ მაღალი ანაზღაურების ხიბლში სულაც არაა, უბრალოდ, ქუჩაში ხალხს აღარ ხოცავენ და ამიტომ, აღარც „აკრედიტაციის გარეშე“-ა საჭირო, აღარც — წინააღმდეგობა და პროტესტი. გთავაზობთ ინტერვიუს ყოფილ ჩინოვნიკ, შოუმენ, „იმედზე“ ორი გადაცემის წამყვან, პროფესიონალ და კორექტულ ჟურნალისტ შალვა რამიშვილთან.



— თავდაპირველად, უნდა გითხრათ, რომ ბოლომდე კორექტული და მიკერძოებული არ ვიქნები — ერთ-ერთი ტელევიზიის სახე ვარ და ამ პრობლემას საკუთარ თავში ვხედავ, თუმცა ვეცდები, ზღვარს მაინც არ გადავიდე.

— ეკონომიკური კრიზისი „იმედელებსაც“ შეგეხოთ და, საერთოდ, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა ტელებაზარზე როგორ აისახება?

— ციფრული მაუწყებლობის პლუსი ისაა, რომ ხარისხი უკეთესია და მეტი არხის ყურების საშუალებაც იქნება. სახელმწიფო სოციალურად დაუცველ ოჯახებს, თუ არ ვცდები, ციფრული მაუწყებლობის აპარატურას შეუძენს. მედიაბაზარზე ახალი ტელევიზიების გაჩენა მაინცდამაინც ამ სიახლეზე არაა დამოკიდებული, ამას ორი მიზეზი აქვს — ბაზრის მოთხოვნა და პოლიტიკური დაკვეთა — როცა ტელევიზიას რომელიმე პოლიტიკური ძალა ქმნის. არსებული პატარა ტელევიზიები კი, უფრო პატარა სტუდიებია და არა კლასიკური არხები. ამ ხალხს აქვს ამბიცია, მცირე თანხად ტელევიზიის მსგავსი რაღაცები შექმნას, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ან გაკოტრდებიან, ან ერთ დიდ ტელევიზიად ჩამოყალიბდებიან — ბაზარი ყველაფერს დაალაგებს.

— დღეს ძლიერი ტელევიზიის შესაქმნელად პოლიტიკური ან საბაზრო მოთხოვნილება არსებობს?

— არა და ვფიქრობ, ამის საშუალებას არც სარეკლამო ბაზარი იძლევა. სატელევიზიო სარეკლამო ბაზარი, 2013-2014 წლებში იზრდებოდა, თუმცა ეკონომიკური პრობლემების გამო, ახლა მცირდება — დოლარის კურსმა სარეკლამო ხარჯის შემცირებაზე იმოქმედა.

— ამ მხრივ გავლენა, ალბათ, კომერციული რეკლამის კანონმაც დატოვა, არა?

— ეს კანონი მომწონს, რადგან ეთერს უფრო ცივილიზებულს ხდის და, ამხელა სარეკლამო ბლოკები რომ აღარ იქნება, გადაცემების რეიტინგიც გაიზრდება, რადგან ხალხი სხვა არხზე აღარ გადართავს. რეკლამის ფასიც მოიმატებს, თუმცა არა რადიკალურად.

— აბა, რატომ იჩხუბეს „რუსთავი 2“-ის გენდირექტორმა და დეპუტატებმა?

— პოლიტიკური მოტივით. „რუსთავი 2“, რომელიც ნაციონალების პროპაგანდის მანქანაა, ცდილობს, ვითარება ისე წარმოაჩინოს, თითქოს „ოცნება“ ებრძვის, მათ შორის, ამ კანონითაც.

— შალვა, ყველა ამბობს, რომ „იმედი“ და სხვა არხებიც „რუსთავი 2“-საა „ჩაბმული“ და ინერციით მიყვება. ამ შენიშვნას იღებთ?

— ეს უსამართლო შენიშვნაა.

> **„რუსთავი 2“-ს კონკრეტული ამოცანა აქვს: ხელისუფლებაში სააკაშვილის დაბრუნების უზრუნველყოფა. ეს ცხადია! არ შეიძლება, სხვა, მით უმეტეს, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის ტელევიზიას მსგავსი ამოცანა ჰქონდეს. კარგად ვიცი „იმედის“ შიდასამზარეულო და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, დამფუძნებლები არხის პოლიტიკაში არ ერევიან. რაც შეეხება „რუსთავი 2“-ს, ძალიან მიკერძოებულია: არის ეკა კვესიტაძის გადაცემა, რაც, თავიდან ბოლომდე, ხელისუფლების დისკრედიტების მცდელობაზეა აგებული. გასართობი გადაცემები ავიღოთ — პირდაპირ ჩანს, რომ 100 ხუმრობიდან ასივე მარგველაშვილსა და ბიძინას ეხება.**

— ვანო ჯავახიშვილის ხუმრობა სააკაშვილსა და ნაციონალებზე არ მოგისმენიათ?

— ამ საქმის სპეციალისტი ვარ და ნაციონალებზე ხუმრობის ხვედრითი წილი ძალიან მცირეა.

— ხელისუფლებაში „ოცნებაა“. ხელისუფლებაზე კი, ბუნებრივია, ყველა მეტს ხუმრობს...

— შთაბეჭდილებებს გიზიარებთ, სასამართლო განაჩენი კი არ გამომაქვს. ჩემს აზრს ბევრი ეთანხმება — ეს შოუც პოლიტიკურად ანგაჟირებულია. ცხადია, ეს ტელევიზია ხელისუფლების რეიტინგის დაგდებასა და სააკაშვილის რეიტინგის აწევაზე მუშაობს.

— როგორ ფიქრობთ, გამოსდის?

— ვფიქრობ, ეს შეუძლებელია. როცა „იმედიც“ და ყველა სხვა ტელევიზიაც მათი იყო, 2012 წელს, მარცხი განიცადეს, ერთსა და იმავე მდინარეში კი ორჯერ არ შედიან. ნაციონალებს კარგად არ აქვთ გააზრებული, რატომ წააგეს არჩევნები. იმიტომ კი არა, რომ საარჩევნო კამპანიას რამე დააკლეს ან ხალხი სხვამ „დააბოლა“, არამედ იმიტომ, რომ მოსახლეობამ ძალადობასა და კოშმარს უთხრა უარი. ეს კოშმარი არავის დაავიწყდება, თუმცა „ოცნებას“, რა თქმა უნდა, რეიტინგი დაუვარდა. ბევრი, ვისაც ვიცნობ, „ოცნებისადმი“ იმედით აღარაა განწყობილი, მაგრამ ეს ხალხი მხარს ნაციონალებსაც არ უჭერს.

— ასე თუ ისე, „რუსთავი 2“ ყველაზე მძლავრ ტელევიზიად რჩება...

— ამ ეტაპზე, „რუსთავი 2“-ს აქვს გარკვეული სიმძლავრე, მაგრამ არსებობს კითხვები, რამდენად სწორია რეიტინგების მთვლელი კომპანია, რომელიც წლების განმავლობაში ამაზე მუშაობს. არის ეჭვები, რომ ის „რუსთავი 2“-ის მიმართ მიკერძოებულია. ჩემი აზრით, შეუძლებელია, ნაცმოძრაობის დროს, როცა ყველაფერი კონტროლდებოდა, ხელისუფლებას არ სცოდნოდა, „ფიფლმეტრები“ ვისთანაა. როცა ეს იცი, გაყალბება იოლია.

— ხელისუფლება შეიცვალა და დღესაც ასეა?

— რა თქმა უნდა, ასეა, თუმცა იმის თქმა არ მინდა, რომ სხვა არხები, თუნდაც „იმედი“ ახალ გადაცემებს არ უნდა აკეთებდეს. ჩვენს არხს ახალი გადაცემები დაემატა და რეიტინგიც უცილობლად იზრდება. მალე ყველაზე მძლავრი ტელევიზია ჩვენ გავხდებით.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ ვართ პოლიტიკურად ანგაჟირებულები, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ვემხრობით და მთელი რესურსი შემოქმედებაზე მიდის. რეიტინგზე ვზრუნავთ და არა რომელიმე პოლიტიკური ძალის ხელისუფლებაში მოყვანაზე.

— სხვათა შორის, არაერთხელ ითქვა, რომ პატარკაციშვილის ოჯახს პოლიტიკაში მოსვლა სურს. რაკი შიდასამზარეულო იცით, გეცოდინებათ, ეს ჭორია თუ სიმართლე?

— გეუბნებით, არხის საინფორმაციო პოლიტიკაზე მათ ზეგავლენა არ აქვთ. რაც შეეხება პოლიტიკაში მოსვლას, მხოლოდ ის შემიძლია ვივარაუდო, რომ ხალხს საკუთარი ბიზნესი აქვს, კარგად უძღვება და პოლიტიკაში მოსვლის სიმწარეც კარგად ახსოვს, ამიტომ არ მგონია, რომელიმე მხარეს დადგომა სურდეს.

— თქვენს გადაცემებზეც ვისაუბროთ. მაგალითად, „შალვა რამიშვილის შოუ“ რეიტინგულია?

— დიახ, ძალიან რეიტინგულია. ჩვენი წილი 30-დან 32%-მდეა ანუ საქართველოში ჩართული ტელევიზორების მესამედი „იმედზეა“ გადართული. ეს ბოლო სეზონის მონაცემებია.

— მეჩვენება თუ თქვენს გადაცემაშიც ნაციონალებზე ხუმრობის ხვედრითი წილი ძალიან დაბალია?

— ნაციონლებზე გაცილებით ნაკლებად ვხუმრობ, რადგან მეტ მიზეზს მთავრობა იძლევა.

— ვანო ჯავახიშვილიც იგივეს აკეთებს და ვერ გავიგე, „ოცნებაზე“ ხუმრობა მისთვის რატომ არ შეიძლება, თქვენთვის კი შეიძლება?

— „ვანოს შოუს“ 50 ხუმრობიდან 50-ვე ხელისუფლებაზეა, ჩემთან ერთი მესამედი ნაცებზეა.

— ანუ აქ კომპლექსები, პრობლემები და ძველი ჯავრი არაფერ შუაშია?

— ვცდილობ, ამას ვებრძოლო და მგონი, გამომდის. ეს ძალიან პირადული თემაა. როცა საქმით ხარ დაკავებული, ჯავრის, ბოღმის დრო და ენერგია არ გაქვს, ამაზე აღარც ფიქრობ.

— ხელისუფლებაში ყოფნის მერე, პოლიტიკოსებთან ურთიერთობები შეგეცვალათ?

— ჩემს გადაცემაში სტუმრად ძალიან ბევრი პოლიტიკოსი მოდის. ვერ ვიტყვი, რომ ურთიერთობები რადიკალურად შეიცვალა. აღარ ვარ ჩინოვნიკი, რაც ძალიან მახარებს.

— ისე, სწორია, ჯერ იყო ჟურნალისტი, მერე ჩინოვნიკი, მერე ისევ ჟურნალისტი და ა.შ. თავისუფალი ხართ?

— სანამ ხალხი მიყურებს და აქტუალური ვარ, ამ სფეროში დავრჩები.

— ესეც „ფიფლმეტრებით“ იზომება?

— არა მხოლოდ ამით, ურთიერთობითაც. როცა პროფესიონალი ხარ, ამას ხალხთან კონტაქტისას გრძნობ.

— პროფესიული კითხვა მაქვს — „აკრედიტაციის გარეშე“ დღეს საჭირო აღარაა?

— რა თქმა უნდა, ასეთი გადაცემა ყოველთვის საჭიროა.

— მერე, რატომ არ აკეთებთ?

— რა ვიცი, აღარ მინდა. მაშინ ჩემი ერთ-ერთი ამოცანა სააკაშვილის მმართველობის დამთავრება იყო. როცა ეს ამოცანა შესრულდა, მუღამიც გამიქრა. ვისაც უნდა, ადგეს და გააკეთოს ეს გადაცემა, უბრალოდ, მე მუღამი აღარ მაქვს.

— არადა, ამ გადაცემას ჰქონდა ყველზე დიდი მუღამი — დახურულ კარში შესვლა აღარ გინდათ?

— გავიგე, მაგრამ აღარ მინდა. ცოტა რთულია ამაზე საუბარი, მაგრამ არა, დახურულ კარში აღარ მინდა შესვლა. სააკაშვილის რეჟიმი იყო ქვეყნის დაღუპვა, ახლა კი, ბევრი შეცდომის მიუხედავად, ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი არ დგას. მაშინ ეს წმინდა ჟურნალისტიკაც არ იყო, ბრძოლა იყო. საჯაროდ ვაცხადებ, ვისაც სურს, ეს გადაცემა გააკეთოს, ვჩუქნი!

— გამოდის, გადაცემა არჩევნებს შეეწირა.

— ასე გამოდის. გადაცემა იმიტომ აღარ გადის, რომ მოვიდა ხელისუფლება, რომელიც აღარ კლავს, არ ჩაგრავს.

— მოვიდა ხელისუფლება, რომელმაც შალვა გააჩინოვნიკა და მუღამი დააკარგვინა...

— გიორგი მარგველაშვილთან ყოფნისას, ბოლო 5 წლის განმავლობაში, ყველაზე ნაკლები ხელფასი მქონდა. უბრალოდ, მაინტერესებდა, როგორი იყო ხელისუფლებაში ყოფნა და როცა მივხვდი, ყველა შტერს უფლება აქვს, გეძახოს, მე გიხდი ხელფასს ბიუჯეტიდანო, იმ წუთას მივხვდი, რომ იქ ჩემი ადგილი არ არის.

— შტერი ვინ არის?

— ვგულისხმობ მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფს, რომელსაც ძალიან უჭირს და განსაკუთრებული აგრესია აქვს ხელისუფლებაში მყოფების მიმართ. ეს ხალხი ამბობს, ბიუჯეტიდან რომ იღებ ფულს, რომელსაც მე ვიხდი, უნდა მომემსახუროო.

— ეს ხალხი შტერი კი არა, მართალია!

— არა, შტერი არ არის. ზოგი გამწარებულია, ზოგი კი მართლა შტერია, რადგან ვერ ხვდება, ვის უნდა მიმართოს პრეტენზიებით. ხშირად ეს ადამიანები რაღაცებს დაუმსახურებლად გაბრალებენ, რაც არასწორია. ზოგადად, ყველაფერი ხელისუფლების ბრალი ვერ იქნება. ყველაზე დიდ დისკომფორტს, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, სწორედ საჯარო პოლიტიკაში ვგრძნობდი. უსიამოვნო გრძნობაა, როცა ადამიანები რაღაცას დაუმსახურებლად გთხოვენ, როცა სამთავრობო გუნდის ნაწილი ხარ და სხვისი შეცდომებიც ავტომატურად მოგეწერება.

— ხელფასი რამდენი გქონდათ?

— ძალიან ცოტა, 3 500 ლარი, დასამალი არაფერია, ეს დეკლარაციაშიც მეწერა.

— ახლა რამდენი გაქვთ?

— გაცილებით მეტი, თუმცა დაკონკრეტების ვალდებულება არ მაქვს.

— არა, მაგრამ მაღალი ხელფასიც ამ „შტერი“ ხალხის დამსახურებაა, რომელიც თქვენს გადაცემას უყურებს და რეიტინგს გიქმნით.

— არა, შტერები არ არიან. მოდი, დავაკონკრეტებ, რა ვიგულისხმე, ისე რომ არ გამოვიდეს, ხალხს შტერი ვუწოდე. შტერები დავუძახე მათ, ვინც გარკვეულ ადამიანებს სრულიად დაუმსახურებლად აბრალებენ გარკვეულ პრობლემებს, თორემ მოსახლეობის უმრავლესობა შტერი არც ერთ ქვეყანაში არაა, მით უმეტეს, საქართველოში.

— შ-ზე რას ფიქრობთ და „20/30“-ის დაბალ რეიტინგს როგორ ხსნით?

— ამ წუთას, ეს არხი კონკურენტად არ მიმაჩნია, თუმცა განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს. რაც შეეხება გადაცემას, ჯერ ერთი, ყველამ არ იცოდა, რომ სტუმარი ბიძინა იქნებოდა ანუ გადაცემას პრომოუშენი აკლდა, თან ყველა გადაცემა იბადება და იზრდება. პირველ გადაცემას არ უნდა მოსთხოვო რეიტინგი, რომელიც შესაძლოა, ერთი თვის მერე ჰქონდეს. თავად გადაცემის ფორმატიც დასახვეწია. თუმცა პირველი გადაცემა იმას ეხებოდა, როგორი იქნებოდა ეს გადაცემა და როცა უფრო აქტუალურ საკითხებს შეეხებიან, დარწმუნებული ვარ, უფრო ყურებადიც იქნება. მისმა მესვეურებმა თავად თქვეს, ამ გადაცემის რეიტინგი შოუებს არ უნდა შევადაროთო და ასეცაა, ვისაც ანალიზის მოსმენა სურს, გადაცემასაც ის უყურებს.

— რიტორიკა, რომ ამ გადაცემით ყველა უნდა გადაგვამზადონ და დაგვაკვალიანონ, თქვენთვის მისაღებია?

— ამაში ცუდი რა არის? მათი დადებული ანალიზი არ მინახავს, ამიტომ ჯერ დაგვაკვალიანონ და, თუ რამე არ მოგვეწონება, კონკრეტულ საკითხებზე მერე გავაკრიტიკოთ. ყველას აქვს უფლება, კრიტიკული აზრი გამოთქვას და ვალდებულნი ვართ, უფრო სწორად, კარგი იქნება, ამ კრიტიკას გარკვეული კომპლექსებისა და წინაპირობების გარეშე მოვუსმინოთ. მერე ვიდავოთ, რაც არ მოგვეწონება. ბიძინა ივანიშვილმაც, როცა ვიღაც გააკრიტიკა, ხელაღებით არაფერი უთქვამს, მიზეზებიც განმარტა, თან მასთან კამათი მის ზოგიერთ გამონათქვამზე ყოველთვის შეიძლება.

— მაინც, რაზე შეიძლება, ეკამათოთ?

— მაგალითად, ივანიშვილს ჰგონია, რომ ერთი კონკრეტული გადაცემით ქართულ მედიაში გარდატეხას შეიტანს. ამას მთელი მოქმედებები სჭირდება, თუმცა, თუ თავად ხალხში არ მოხდა გარდატეხა და პროდუქციის ხარისხზე მოთხოვნა არ გაიზარდა, ისე არაფერი შეიცვლება. დღეს კი ტელევიზიები და ყველა სხვა მედიასაშუალებაც მოსახლეობის სარკეა.

— თუ შეფასებებში თავისუფალი ხართ, ცოტა პოლიტიკაზეც ვისაუბროთ...

— ბუნებრივია, თავისუფალი ვარ. 2012 წელს ხალხმა ხმა მისცა „არა მიშას“ და არა — რაღაც ჭკვიანურ პროგრამებს. ამის გამო ე.წ. შემთხვევითი ხალხი მოხვდა პარლამენტში, რაც 2016 უნდა დასრულდეს.

— არჩევნებზე ხმას ვის აძლევთ?

— ამ ეტაპზე, არჩევნები რომ ჩატარდეს, ხმას ბიძინა ივანიშვილს მივცემ.

თბილისში გასაქირავებელი ბინების ფასი დაეცა — მოიჯარეები კომერციულ და საოფისე ფართებს ცლიან!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რა ხდება უძრავი ქონების ბაზარზე და რატომ არ ემთხვევა ოფიციალური სტატისტიკა ბროკერთა მონაცემებს

უძრავი ქონების ბაზრის ანალიტიკოსების შეფასებით, ბინების გაქირავება საკმაოდ სარფიანი ბიზნესია და გაცილებით მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე — ანაბრებს კომერციულ ბანკებში. „ვერსია“ უკვე წერდა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, უძრავი ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი 20%-ის ნაცვლად, მალე 5%-ით დაიბეგრება. სპეციალისტების მოსაზრებით, ეს ინიციატივა ბინების გამქირავებელთა ოფიციალურ სტატისტიკასაც მოაწესრიგებს და მოსახლეობას მოტივაციას გაუჩენს, რათა საკუთარი კაპიტალი ბანკში კი არ შეიტანოს, არამედ, უძრავ ქონებაში დააბანდოს. ისე, 2015 წლიდან, უძრავი ქონების ბაზარზე ახალი ტენდენცია შეინიშნება — საცხოვრებელი, საოფისე და კომერციული ფართების ქირა დაეცა. მართალია, გასაყიდი უძრავი ქონება ჯერ არ გაიაფებულა, მაგრამ თუ ლარის კურსი არ დასტაბილურდება, ეს ტენდენცია უძრავი ქონების ბაზრის ყველა სეგმენტზე აისახება.

ოფიციალური სტატისტიკა და ფასები

უძრავი ქონების ანალიტიკოსების მტკიცებით, საცხოვრებელი, საოფისე და კომერციული ფართების ქირიდან მიღებული შემოსავალი უძრავი ქონების ინვესტიციიდან მიღებული ამონაგების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში, ქირის ოდენობა ინვესტიციასთან მიმართებაში მცირდება (უძრავი ქონების გასაყიდი ფასები უფრო სწრაფად იზრდება), ეს პროცესი ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთის ზოგადი კლების ტენდენციასთან თანხვედრაშია. იმის გამო, რომ კომერციულ ბანკებში ანაბრებზე თანხის დადება ნაკლებად მიმზიდველია, 2013 წლიდან, მოსახლეობამ თავისი რესურსის, ქირიდან შემოსავლის მიღების მიზნით, უძრავი ქონების ბაზარზე გადატანა დაიწყო.

უძრავ ქონებაში ინვესტირება ერთ-ერთ ყველაზე სანდო კაპიტალდაბანდებად ითვლება და ამ ბაზარზე საქართველოდან წასული ემიგრანტებიც აქტიურობენ — მათი შეკვეთების ოფიციალური სტატისტიკიდან ჩანს, რომ აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ქართველმა ემიგრანტებმა იმ მოცულობის სოლიდური ფულადი დანაზოგების დაგროვება ვერ შეძლეს, როგორც ეს რუსეთში ცხოვრებით გახდა შესაძლებელი. რუსეთიდან ჩამოსული საქართველოს მოქალაქეები ყველა ტიპის ქონებას, მათ შორის, კომერციულ, საცხოვრებელ, მიწის ნაკვეთებსა თუ საწარმოებს საკმაოდ მაღალ ფასად ყიდულობენ. თბილისის გარდა, დიდი მოთხოვნაა შავი ზღვის სანაპირო ზოლში არსებულ ობიექტებზეც, თუმცა მყიდველები ამ მხრივ მაინც სიფრთხილეს იჩენენ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2015 წლის თებერვალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, უძრავი ქონების ბაზარზე სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა 17.0%-ით გაიზარდა და, ქვეყნის მასშტაბით, 45 356 ერთეული შეადგინა. 2015 წლის თებერვალი ცალსახა ზრდით გამოირჩევა, რადგან იანვართან შედარებით, სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობა 31.5%-ით გაიზარდა. ზრდა დაფიქსირდა, როგორც პირველადი (46.2%), ისე მეორადი (28.8%) სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობაში. 2015 წლის თებერვალში, პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობა — 7 892, მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობა კი 37 464 ერთეული იყო.

ჯერ კიდევ შარშან, საშუალო შეწონილი ფასების მიხედვით, ვაკე-საბურთალოს რაიონში, 1 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინის გასაყიდი ფასი — 1 050 აშშ დოლარი, ქირის ფასი კი 11 აშშ დოლარი იყო; ძველი თბილისის რაიონში (ყიდვა) – 1 600 დოლარი, (ქირა) – 18 დოლარი; დიდუბე-ჩუღურეთში (ყიდვა) – 950 დოლარი, (ქირა) — 35 დოლარი; გლდანი-ნაძალადევში (ყიდვა) – 1 100 დოლარი, (ქირა) – 6 დოლარი; ისანი-სამგორში (ყიდვა) – 800 დოლარი, (ქირა) – 6.8 დოლარი.

1 კვადრატული მეტრი გასაყიდი საოფისე ფართის ფასი ვაკე-საბურთალოს რაიონში – 1 150 დოლარი, ქირის კი 11 დოლარი იყო; ძველი თბილისის რაიონში (ყიდვა) – 1 500 დოლარი, (ქირა) – 14 დოლარი; დიდუბე-ჩუღურეთში (ყიდვა) – 750 დოლარი, (ქირა) – 14 დოლარი; გლდანი-ნაძალადევში (ყიდვა) — 1 200 დოლარი, (ქირა) – 7 დოლარი; ისანი-სამგორი (ყიდვა) — 800 დოლარი, (ქირა) – 10 დოლარი.

რაც შეეხება კომერციულ ფართებს, ვაკე-საბურთალოს რაიონში, 1 კვადრატული მეტრი ფართის გასაყიდი ფასი 1 650 დოლარი გახლდათ, ქირა კი 17 დოლარი იყო; ძველი თბილისის რაიონში (ყიდვა) — 1 550 დოლარი, (ქირა) – 15.5 დოლარი; დიდუბე-ჩუღურეთში (ყიდვა) — 1 500 დოლარი, (ქირა) – 48 დოლარი; გლდანი-ნაძალადევში (ყიდვა) – 850 დოლარი, (ქირა) – 7.5 დოლარი; ისანი-სამგორი (ყიდვა) – 600 დოლარი, (ქირა) – 6.5 დოლარი.

უძრავი ქონების ბაზრის ანალიტიკოსების მტკიცებით, 2015 წლის იანვრიდან, საცხოვრებელი, საოფისე და კომერციული ფართების ფასები დაახლოებით, 20%-ით შემცირდა. ანალიტიკოსები ამ ტენდენციას ლარის კურსის დევალვაციას უკავშირებენ.

უძრავი ქონების ბაზრის ტენდენციები

რატომ და რა მიზეზით გაიაფდა გასაქირავებელი ბინისა თუ საოფისე ფართები? „ვერსიას“ უძრავი ქონების კომპანია „სიგმას“ გენერალური დირექტორი, **ზურაბ ლაჩაშვილი** ესაუბრება:

„ბოლო დროს ბინების ყიდვა-გაყიდვის პროცესი მოლოდინის რეჟიმში გადავიდა. სამწუხაროდ, ბინის მყიდველთა რაოდენობა და ტრანზაქციები შემცირდა, მაგრამ ქალაქის ცენტრალურ უბნებსა და გარეუბნებში განსხვავებული მდგომარეობაა. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, უძრავი ქონების ბაზარზე ფასების კლების ტენდენცია შეინიშნება, რადგან გამყიდველებიცა და მყიდველებიც ლარის დასტაბილურების პროცესს ელიან. რაც შეეხება ქალაქის გარეუბნებს, ფასები არ შეცვლილა, რადგან უძრავ ქონებაზე მოთხოვნა არ შემცირებულა. საერთოდ, ქალაქის გარეუბნებში უძრავ ქონება შედარებით იაფია, შესაბამისად, ბინის შეძენაზეც მოთხოვნა გაცილებით მეტია. ზოგადი სურათის მიხედვით, უძრავი ქონების ბაზარზე ტრანზაქციების რაოდენობა შემცირდა“.

საჯარო რეესტრის ოფიციალური მონაცემები საწინააღმდეგოს ამტკიცებს — ოფიციალური სტატისტიკით, ტრანზაქციების რაოდენობა გაიზარდა, თუმცა სპეციალისტები თვლიან, რომ რეესტრი უძრავი ქონების ბაზრის ყველა სეგმენტის საერთო მონაცემებს ასახავს. 2008 წლის აგვისტოს ომისა და 2009 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, საქართველოს უძრავი ქონების ბაზარსაც ზუსტად ისე გაუჭირდა, როგორც — ევროპასა და აშშ-ში: სამშენებლო სექტორი სტაგნაციაში აღმოჩნდა, კომპანიებმა დაწყებული მშენებლობები შეაჩერეს. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, სამშენებლო სექტორი გამოცოცხლდა, კომპანიებმა შეჩერებული მშენებლობები ნელ-ნელა, ეტაპობრივად დაასრულეს. თუ წინა წლებში უძრავი ქონების კომპანიების ბროკერები ბინებს იმიტომ ვერ ყიდდნენ, რომ დასრულებული ბინების სახით, ბაზარზე მზა პროდუქტი არ არსებობდა, ახლა ასეთი პროდუქტი არსებობს, მაგრამ ლარის კურსის ცვლილების გამო, ბინის მყიდველთა რაოდენობა შემცირდა. უძრავი ქონების კომპანია „ბროკერი.გე“-ს დირექტორმა, **ილია ინაშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას დეტალურად ახსნა მიზეზი, რის გამოც უძრავი ქონების ბაზარზე ტრანზაქციები შემცირდა:

„ბოლო დროს, ბინის ქირის ფასი 15%-20%-ით შემცირდა. ლარის კურსის ცვლილებიდან გამომდინარე, მოსახლეობა მიხვდა, რომ გაქირავების ფასი უნდა შეემცირებინა, თუმცა უნდა დავაზუსტო, რომ ქირის ფასი მაღალ და საშუალო სეგმენტიან ბინებზე შემცირდა. მაგალითად, საშუალო სეგმენტის ბინების ქირის ფასი 500-600 აშშ დოლარიდან იწყება, ცალკეულ შემთხვევაში, ფასი უფრო მაღალიცაა. 600-დოლარიანი ბინები ახლა 500 დოლარად ქირავდება, 1 000-დოლარიანი ბინების ქირის ფასი 900 დოლარამდე შემცირდა. რაც შეეხება ბინების გაყიდვას, გასაყიდი ბინების ფასი ჯერ არ გაიაფებულა, რადგან ქართული ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანებს ძალიან უჭირთ, საკუთარ ბინებს ფასი დააკლონ. ვფიქრობ, გაყიდვების რაოდენობა იმიტომ შემცირდა, რომ კომერციული ბანკები სესხებს აღარ გასცემენ. არადა, მოსახლეობის 80% ბინებს იპოთეკური სესხების საშუალებით ყიდულობდა. კომერციული ბანკების ასეთი გადაწყვეტილება ლარის კურსის დევალვაციას უკავშირდება. იმის გამო, რომ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ჯერ არ დასტაბილურებულა, ბანკებმა სესხების გაცემა შეაჩერეს. სესხების გაცემა ხვალვე რომ დაიწყოს, მერწმუნეთ, უძრავი ქონების ბაზარს არაფერი დაემუქრება. დღევანდელ მდგომარეობას 2009 წლის სტაგნაციურ პერიოდს არ ვადარებ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ახლა ქვეყანაში ომი არ არის და დრამატული არაფერი ხდება, კომერციულმა ბანკები სესხებს მაინც არ გასცემენ. ჩემი პროგნოზით, ვიდრე ბანკები სესხების გაცემას არ დაიწყებენ, უძრავი ქონების ბაზარს არაფერი ეშველება და ტრანზაქციების რაოდენობა ყოველთვიურად შემცირდება. მართალია, საჯარო რეესტრის სტატისტიკით, 2015 წლის თებერვალში, ტრანზაქციების რაოდენობა 2011, 2012, 2013 და 2014 წლების ანალოგიური პერიოდების მაჩვენებლებს აღემატება, მაგრამ რეალურად, ეს ასე არაა. მთლიანობაში, უძრავი ქონების ბაზარზე პრობლემები თითქოს არ არის — ინვესტიციები შემოდის, მიწის ნაკვეთები იყიდება, სამშენებლო პროექტები სრულდება ანუ პროდუქტი იქმნება, მაგრამ იმისთვის, რომ დეველოპერებმა და უძრავი ქონების სააგენტოებმა ამ პროდუქციის რეალიზაცია განახორციელონ, კომერციულმა ბანკებმა სესხების გაცემა უნდა დაიწყონ“.

უძრავი ქონების კომპანია „სიგმას“ გენერალური დირექტორის, ზურაბ ლაჩაშვილის განმარტებით, თბილისში, უბნების მიხედვით, მეორად (ძველ) ბინებსა და პირველად (ახლადაშენებულ) ბინებზე განსხვავებული ფასები ფიქსირდება. მისივე თქმით, ვაკეში, 1 კვადრატული მეტრი ფართობის ფასი 1 000-დან 1 300 აშშ დოლარამდეა, მაგრამ შესაძლოა, 1 კვ.მ. 900 აშშ დოლარადაც შეიძინოთ — გააჩნია, ბინა ვაკის რა ნაწილში მდებარეობს, ან როგორი პროექტია. საბურთალოზე, მშენებარე ბინების ფასები 800-დან 900 აშშ დოლარამდე მერყეობს, ქალაქის გარეუბნებში კი — 600-დან 650 აშშ დოლარამდე.

რაც შეეხება გასაქირავებელი ფართის ფასებს, ზურაბ ლაჩაშვილის განცხადებით, ფასები შემცირდა. მისი თქმით, თუ ადრე თბილისის ცენტრში ბინას 700 დოლარად გააქირავებდით, ახლა 500 დოლარად გაქირავებაც ჭირს. ქალაქის გარეუბნებში ბინის ქირის ფასი გაცილებით იაფია.

უძრავი ქონების კომპანია „ბროკერი გე“-ს დირექტორმა ილია ინაშვილმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ თბილისში, 2013 წლიდან, მეორად ბინებზე უფრო მეტი მოთხოვნა იყო, ვიდრე — ახლადაშენებულზე. მისი თქმით, 2013 წლამდე, მყიდველების, დაახლოებით, 80%, მხოლოდ პირველად ბინებს იძენდა. მართალია, მეორადი ბინები გაცილებით იაფია, მაგრამ ძირითადი მოთხოვნა მაინც პირველად ბინებზეა.

რაც შეეხება საოფისე და კომერციული ფართების გაქირავებას, ილია ინაშვილის განმარტებით, **„ამ მხრივ თბილისის ყველაზე აქტიური რუსთაველის გამზირი, პეკინისა და მარჯანიშვილის ქუჩებია. როგორც წესი, აქ თავისუფალი კომერციული და საოფისე ფართები არ არის, რადგან ეს ქუჩები ყველაზე „მუშა“ ადგილებად ითვლება და მოთხოვნაც მაღალია. დღეს რომ პეკინზე გაიაროთ, უამრავ აბრას ნახავთ წარწერით: „ქირავდება კომერციული ფართი“. სამწუხაროდ, ეს ტენდენციაც ლარის კურსის ცვლილებას უკავშირდება, მოიჯარეთა უმრავლესობა ქირის ფასს ვეღარ იხდის და კომერციულ თუ საოფისე ფართს ცლის“.**

ვერსიანიუსი

ქართველ მორაგბეთა ნაკრები „რაგბი — ევროპის ჩემპიონატის“ გამარჯვებული გახდა

ბოლო ტურში საქართველოს ნაკრებმა რუმინელები სტუმრად ანგარიშით 6:15 დაამარცხა. ამ გამარჯვებით, საქართველოს ნაკრები „ერთა თასის“ მფლობელი უკვე მეცხრედ გახდა.

ამასთან, აღნიშნული ტურნირი ქართველმა მორაგბეებმა დაუმარცხებლად განვლეს და ხუთივე თამაში მოიგეს.

„ინტერპრესნიუსი“

განათლების საერთაშორისო ცენტრმა 115 სტუდენტის დასაფინანსებლად განაცხადების მიღება დაიწყო

განათლების საერთაშორისო ცენტრმა 115 სტუდენტის დასაფინანსებლად განაცხადების მიღება დაიწყო. განაცხადებს სპეციალური კომისია 20 მაისამდე მიიღებს, შემდეგ კი იმ 115 სტუდენტს შეარჩევს, რომლებიც ევროპისა და ბრიტანეთის უნივერსიტეტებში განაგრძობენ სწავლას, თანხას კი განათლების სამინისტრო დაფარავს.

დაფინანსების მოპოვების მსურველებს პროგრამაში რეგისტრაცია და დამატებითი დეტალების შესახებ ინფორმაციის მიღება შეუძლიათ განათლების საერთაშორისო ცენტრის ვებ-გვერდზე iec.gov.ge. განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც სხვადასხვა საკონკურსო პროგრამების საშუალებით აშშ-ს, ევროპის და აზიის წამყვან უნივერსიტეტებში საქართველოს მოქალაქეებისათვის სწავლის დაფინანსებას უზრუნველყოფს, კონკურსს წელიწადში ორჯერ აცხადებს.

2015-2016 სასწავლო წლისთვის პირველი კონკურსი 2014 წლის 3 ნოემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა, რომლის შედეგადაც 10 კონკურსანტის სწავლა დაფინანსდა. განათლების საერთაშორისო ცენტრში ამ ეტაპზე ხორციელდება საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა, რომელიც უცხოეთის უნივერსიტეტების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის კონკურსის წესით დაფინანსებას გულისხმობს; ასევე, ცენტრი ახორციელებს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პროგრამას, რომელიც, საჯარო სამსახურის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით, კონკურსის წესით საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისა და გადამზადების პროგრამების დაფინანსებას ითვალისწინებს.

შეგახსენებთ, რომ განათლების საერთაშორისო ცენტრი 2014 წელს, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შეიქმნა. ცენტრმა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში 88 ქართველი სტუდენტის სწავლა უკვე დააფინანსა. რაღა თქმა უნდა, ცენტრის საქმიანობის შესახებ მუდმივ რეჟიმში იღებს ინფორმაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

რაც შეეხება იმ ათ სტუდენტს, რომელმაც დაფინანსება უკვე მიიღო, უცხოეთში წასასვლელად უკვე ემზადება.

შოთა კუკულაძე: „მანჩესტერში მივდივარ სასწავლებლად. იქ საერთაშორისო განვითარების, კონფლიქტების, სიღარიბისა და რეკონსტრუქციის (ასე ჰქვია) სრულ კურსს გავივლი და ერთი წლის შემდეგ დავბრუნდები საქართველოში. რაღა თქმა უნდა, მთლიან თანხას, როგორც სწავლისას, ისე ცხოვრებისას, განათლების სამინისტრო იხდის და მიხარია, რომ სახელმწიფო სტუდენტებზე ზრუნავს“.

რუსუდან ხავთასი

მარიხუანა მეოთხე სტადიის სიმსივნეს კურნავს?

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

„საუკუნეზე მეტია, მსოფლიო ფარმაცევტული კომპანიები მალავენ კიბოსა და უამრავი სხვა დაავადების წამალს, მხოლოდ და მხოლოდ ვიწრო მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე“, — ასეთია წამყვანი მეცნიერების სკანდალური დასკვნა, რომელსაც საფუძვლად მრავალწლიანი კვლევები უდევს... კანაფი დღემდე არ კარგავს პოპულარობას და მის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება არსებობს. არადა, როგორც ირკვევა, ნარკოტიკულ საშუალებად აღიარებული მცენარე მრავალი დაავადების წინააღმდეგ პანაცეაა, თუმცა აჯობებს, ყველაფერს ქრონოლოგიურად მივყვეთ:

მსოფლიო მეცნიერთა სენსაციური აღმოჩენა

Cannabis ლათინურიდან ითარგმნება, როგორც „სასარგებლო“ და აერთიანებს პოლიმორფულ სახეობას Cannabis sativa-ს, მისი ქვესახეობებია Cannabis indica და Cannabis ruderalis. კანაბისი ფსიქოაქტიური ნივთიერებაა და მიიღება ისეთი კანაფისგან, როგორიცაა: მარიხუანა, ჰაშიში და ჰაშიშის ზეთი... მარიხუანასა და ჰაშიშის შემადგენლობაში კანაბინოიდების 60-ზე მეტი სახეობაა — ქიმიური ნივთიერებები, რომელსაც ფსიქოტროპული და სამკურნალო ეფექტები ახასიათებს და რომლებიც, ძირითადად, გვხვდება წებოვან ოქროსფერ ფისში.

კანაფისგან დამზადებულ პროდუქტს მრავალწლიანი ისტორია აქვს: 7 000 წლის განმავლობაში იყენებდნენ ამა თუ იმ სფეროში. პირველი ლიტერატურული ცნობები კი ძველ ჩინეთში, ჩვ.წ.აღ-მდე 2800 წელს ჩნდება. კანაფის თესლის ზეთს ძველ რუსეთში იყენებდნენ, დახლილ თესლს კი ბავშვებსაც აჭმევდნენ. დღეს კანაფის ზეთი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება კოსმეტიკურ საშუალებებში და ეს არცაა გასაკვირი, რადგან შეიცავს დიდი რაოდენობით ქლოროფილს, თხევად მჟავას, A, B, C, D და E ვიტამინებს, უამრავ ანტიოქსიდანტს, პროტეინს, კაროტინისა და სასარგებლო მინერალურ ნივთიერებებს (კალცი, მაგნიუმი, კალიუმი, რკინა, ცინკი და ფოსფორი)...

კანაფის მწიფე თესლის ზეთი ნარკოტიკულ საშუალებებს არ შეიცავს და მას ხშირად იყენებენ სხვადასხვა დაავადების ტრადიციული თუ არატრადიციული მეთოდით მკურნალობისას; ცილა, რომელიც ზეთის შემადგენლობაშია, სტრუქტურულად ადამიანის სისხლის ცილას ჰგავს და ადვილად გადამუშავდება ორგანიზმის მიერ; კანაფის თესლის ფაფა კი საკვები პროდუქტია, რომელსაც ამა თუ იმ დაავადებასთან გამკლავება შეუძლია.

გარდა ამისა, კანაფი გახლავთ მშვენიერი სასუქი — აქვს ღრმა ფესვები, ფოთოლცვენისას ყველა სასარგებლო ნივთიერება, აზოტთან ერთად, ბრუნდება ნიადაგში და სწორედ ამ თვისების გამო მცენარე 20 წლის განმავლობაში ამოდის ერთსა და იმავე ადგილას. მის სუნს ვერ იტანს კოლორადოს ხოჭო, ტარაკანი... ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში კანაფი, ხორბალთან ერთად, ერთ-ერთი უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო კულტურა იყო, თუმცა 1960-იან წლებიდან მცენარე სახელმწიფოთა მეთაურებმა არა მხოლოდ ნარკოტიკულ საშუალებად გამოაცხადეს, არამედ, მიზნად მისი სრულად განადგურება დაისახეს.

კანაფს, აგრეთვე, იყენებდნენ ზედა სასუნთქი გზების სამკურნალოდ, ონკოლოგიაში, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისთვის... ის სასარგებლოა ენდოკრინული და იმუნური სისტემისთვისაც, ნევროზებისას და უძილობისას, მალე აღადგენს დაზიანებულ კანს, აქროობს ანთებით პროცესებს... კანაფისგან დამზადებული წამლებით მკურნალობენ გაფანტულ სკლეროზს, გლაუკომას, დეპრესიას, ეპილეფსიას, შაკიკს, ასთმას, ფილტვის ტუბერკულოზს, მასტიტს, რევმატიზმს, დამწვრობას...

ბუნებრივია, ჩნდება ლოგიკური კითხვა — თუ ასეთი სასარგებლო მცენარეა, რატომ არ იყენებენ თანამედროვე მედიცინაში? ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს, თუმცა შეთქმულების თეორიების თაყვანისმცემლები ირწმუნებიან, რომ **„ფარმაცევტული კომპანიების დიდი ბიზნესისთვის წამგებიანია კანაფის გამოყენება თუნდაც ისეთი სერიოზული დაავადებების მკურნალობისას, როგორიც კიბოა! საქმე ის გახლავთ, რომ მცენარის დაპატენტება შეუძლებელია. შესაბამისად, შეუძლებელია კოლოსალური შემოსავლის მიღება მისგან ეფექტური პრეპარატების წარმოებით. ფარმაცევტული გიგანტებისთვის კი პრინციპი — არ არის პატენტი, შესაბამისად, არ არის ფული — ნაკლებად მიმზიდველი პერსპექტივაა“.**

რთულია, ხელაღებით ვინმეს დადანაშაულება, მით უმეტეს, ონკოლოგებიც ამბობენ, კიბოს წამალი ბუნებაში რომ არსებობდეს, აუცილებლად გამოვიყენებდითო, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: უამრავმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ კანაფის ზეთს შეუძლია სამ თვეში განკურნოს მეოთხე სტადიის სიმსივნე! აი, რამდენად ხელსაყრელია ეს ფირმებისთვის, რომლებიც ქიმიოთერაპიისთვის მედიკამენტებს ამზადებენ, ესაა გასარკვევი.

2008 წელს, ესპანელმა, ფრანგმა და იტალიელმა მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ მარიხუანას აქტიური კომპონენტი ტჰკ (ტეტრაჰიდროკანაბინოლი) ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ უჯრედებს ანადგურებს და ამავე დროს, იცავს და აახალგაზრდავებს ჯანმრთელს. ეს არაერთხელ დამტკიცდა და უამრავი ონკოავადმყოფიც გამოჯანმრთელდა, რომელიც კანაბისის ზეთს იყენებდა. ამ ნივთიერებას ფსიქოტროპული ეფექტი აქვს, თუმცა ბევრი მკვლევარი მას 21-ე საუკუნის სამედიცინო აღმოჩენად მიიჩნევს...

არსებული მონაცემებით, დასკვნა მხოლოდ ერთია — კანაფისგან დამზადებული ნატურალური პრეპარატები კიბოს მკურნალობისას ბევრად ეფექტურია, ვიდრე — ქიმიო და სხივური თერაპია!

ტჰკ ანგრევს კიბოს უჯრედებს — წლების განმავლობაში, მეცნიერები სწავლობდნენ ტეტრაჰიდროკანაბინოლის სამედიცინო უპირატესობებს და კვლევის შედეგებიც სენსაციური იყო, თუმცა დამაფიქრებელია ამ პრეპარატების გვერდითი ეფექტები, რომელიც შეიძლება კანაბისის ჰალუცინოგენურ თვისებებთან ყოფილიყო დაკავშირებული. St. George Hospital Medical School-ის მკვლევარებმა კი დაამტკიცეს, კანაბისის გარკვეული კომპონენტები არ იწვევს თრობას და ზოგიერთი კანაბინოიდი (კანაბიდოლი, კანაბიგეროლი), ერთდროულად გამოყენებისას, ბევრად აქტიურად ებრძვის კიბოს უჯრედებს. ლონდონის უნივერსიტეტის მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ მარიხუანას სამკურნალო ეფექტის მტკიცებულებები აქვს. კვლევების ავტორის — ექიმ ვაი ლიუს თქმით კი, ჰალუცინოგენური ეფექტი მინიმალურია კიბოს საწინააღმდეგო თვისებებთან შედარებით. ამერიკელ ექიმთა ჯგუფი სან-ფრანცისკოდან, შონ მაკკალისტერის ხელმძღვანელობით, ათი წლის განმავლობაში იკვლევდა კანაბინოიდების თვისებებს და აღმოაჩინეს, რომ აქტიური კომპონენტები ანეიტრალებს გენს, რომელიც ხელს უწყობს მეტასტაზების ნარმოქმნას, ებრძვის აგრესიული კიბოს სხვადასხვა სახეობას და ბევრი ბრძოლის შედეგად, მეცნიერებმა საოცარ შედეგებს მიაღწიეს — მარიხუანა ამერიკის 14 შტატში სიმსივნესთან ბრძოლის მეთოდად აღიარეს და მისი შეძენა სააფთიაქო ქსელშიც შეიძლება, ოღონდ — ექიმის დანიშნულებით!

გერმანულ სამედიცინო ჟურნალებში კი გამოქვეყნდა მონაცემები, რომელიც უტყუარი დადასტურებაა, რომ მარიხუანა მეტასტაზებს ანადგურებს. გერმანელი მეცნიერები განაგრძობენ მუშაობას მკურნალობის ინოვაციურ მეთოდებზე. German Hospital Partners-მა კი ხელი მოაწერა საპარტნიორო პროგრამებს წამყვან კლინიკებსა და ექიმებთან, რომლებიც პრაქტიკაში იყენებენ ნანოტექნოლოგიებს ონკოდაავადებების სამკურნალოდ.

მარიხუანას ლეგალიზება-აკრძალვის საკითხზე დავა გამუდმებით მიდის, ამასობაში კი, ებრაელმა სელექციონერებმა ახალი სახეობა გამოყვანეს, რომელიც არ იწვევს ნარკოტიკულ თრობას და მას მძიმე ავადმყოფებს დაუნიშნავენ.

32 წლის პატიმრის სკანდალური წერილი ეკა ბესელიას

როგორ აღმოჩნდა რუსთავის №17 ზონის ტუსაღი ფსიქიატრიულში

პატიმარი №0578

„ქალბატონო ეკა, ძალიან გთხოვთ, ჩემი საქმე განიხილოთ. მე აქ სრულიად ჯანმრთელი შემოვედი, მაგრამ გლდანის ციხეში ოფიცერს შევეპასუხე და როგორც შემდეგ თანასაკნელები მომიყვნენ, გონდაკარგულსაც კი თავში მირტყამდნენ წიხლებს. ახლა, როცა ხელისუფლება შეიცვალა, იმედი გამიჩნდა. არ ვამბობ, რომ ციხიდან გამიშვათ, მე ჩავიდინე დანაშაული, რომლისთვისაც ექვსი წელი მომისაჯეს და ორი წელი დამრჩა. მოვიხდი ამ ორ წელსაც, მაგრამ 32 წლის ბიჭს მინდა სიცოცხლე. ყოველ საღამოს გაუსაძლისად მტკივა თავი და მხოლოდ ციტრამონს მასმევენ. გთხოვთ, მომცეთ უფლება, თავზე ტომოგრაფია გადავიღო, რისი შესაძლებლობაც აქ არ არის და, თუ სახელმწიფოს არ შეუძლია, ხარჯს ჩემი ოჯახის წევრები დაფარავენ. მხოლოდ ეს თხოვნა მაქვს: ჩავიტარო გამოკვლევა და გავიგო, რა მჭრის“, — დაახლოებით ამ შინაარსის წერილი პატიმარმა ბაკურ თ-მ ეკა ბესელიას რუსთავის №17 ზონიდან მას შემდეგ მისწერა, რაც ხელისუფლება შეიცვალა.

პასუხი ორ კვირაში მოვიდა, ადამიანთა უფლებათა დაცვის კომიტეტი ზონის ადმინისტრაციას რეკომენდაციას აძლევდა, პატიმრის თხოვნა გაეთვალისწინებინა, მაგრამ ადმინისტრაციამ ეს წერილი ერთი მაგიდიდან მეორეზე გადადო, მერე — მესამეზე და საბოლოოდ, ჩამოწერა.

„ჭკვიანი კაცი ხარ და შეგიძლია, მითხრა, რა ვქნა?! შინაგანად ვგრძნობ, რაღაც მჭირს, თითქოს ჭიანჭველები დარბიან თავში. ციტრამონის ათი აბი რომ დავლიო ერთად, ტკივილი მაინც მაქვს. სხვა გამაყუჩებლებსაც ვსვამ, მაგრამ ვერაფერი მშველის. რა მოვიმოქმედო, მითხარი, გთხოვ“, — ბაკური პატიმარ №0578-ის ნარზე იჯდა და ლამის ტიროდა.

„არ ვიცი, ბაკურ, რა გითხრა. ექიმებს ცოტა ძლიერი გამაყუჩებელი მოსთხოვე, ეკას მისწერე ისევ, რომ მისი რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს და ეგებ, მეორე რეკომენდაციამ გაჭრას. სახალხო დამცველის აპარატსაც მისწერე“, — ურჩია №0578-მა.

„არა, ვეღარ მივწერ, ვეღარ მოვითმენ კიდევ ორ კვირას, ტკივილი მომკლავს, სხვა რამე უნდა მოვიფიქრო“, — თქვა ბაკურმა და კამერიდან ისეთი სახით გავიდა, №0578-ს შეეშინდა და უკან გაჰყვა.

ბაკური მე-11 საკანში შევიდა ანუ იქ, სადაც ასაკიანი პატიმრები, ე.წ. ასაბნიაკები ისხდნენ. №0578-მა ცოტა ხანს თავი ანება, მერე კი კამერაში მიაკითხა. ბაკურს თვალები უცნაურად უბრწყინავდა, თითქოს გამოსავალს მიაგნოო...

„რა გითხრეს ასეთი, ზონაზე ყველაზე ბედნიერი რომ ხარ?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„გაიგებ მალე. შენ კი არა, მთელი საქართველო გაიგებს“, — აშკარა სიხარულით უთხრა ბაკურმა.

„არ გეწყინოს, მაგრამ მაგ ასაბნიაკების რჩევებიდან ძირითადი ნაწილი სისხლზეა დაფუძნებული და რამე სისულელე არ გაგაკეთებინონ“, — უთხრა №0578-მა და საკუთარ კამერაში დაბრუნდა.

მეორე დღეს, ბაკური უცნაურად იქცეოდა. დადიოდა და მთელი საათის განმავლობაში მაღლა იყურებოდა. ცოტა ხანს თვალს გააშტერებდა, მერე მიდიოდა და ახლა სხვა ადგილზე ჩერდებოდა.

„არ გადამრიო ახლა და არ მითხრა, ღმერთის იმედად დარჩენა მითხრეს ასაბნიაკებმაო. მაგათ სწამთ საერთოდ რამე?!“ — ღიმილით უთხრა №0578-მა ბაკურს.

„მომისმინე, როგორ უნდა გავარჩიო, რომელი კამერა მუშაობს? რამდენი კამერა აყენია და ხომ შეიძლება, რომელიმე გამორთული იყოს?“ — კითხვითვე უპასუხა ბაკურამ.

„სავარაუდოდ, ყველა, მაგრამ გასასვლელში რომ არის, ის აუცილებლად იმუშავებს, ვინ შედის და ვინ გადის, მარტო აქ კი არა, დეპარტამენტში უყურებენ. ახლა მივხვდი, კამერებს ათვალიერებ და რომელი სპილბერგი შენ მყავხარ, კამერებით რომ დაინტერესდი?!“ — გაეღიმა №0578-ს.

„მჭირდება რაღაცისთვის და სპილბერგი ვინ არის?!“ — ისევ კითხვით უპასუხა ბაკურმა.

„ვინ და — დი კაპრიოს ქეით უინსლეტის გაჟიმვა რომ არ შეარგო და რომ დაახრჩო, ე, ის კაცია სპილბერგი“, — დაუზუსტა №0578-მა.

„დი კაპრიო ვიცი და... დაბრიდეს ეგა?!“ — გაოცდა პატიმარი.

„აუფ, მართლა სამკურნალო ხარ, შე უბედურო, და ვინც შენ აქედან საავადმყოფოში წაყვანაზე უარს გეუბნება, ხომ უნდა აიყვანო იმ ტიტანიკზე და გაუშვა ოკეანეში“, — გაბრაზდა №0578.

„აა, გამახსენდა, ნანახი მაქვს ეგ ფილმი. ჰო, ჰო... კაი ფილმია, მაგრამ მე ახლა კამერა მინდა, კარგი ვიდეოკამერა, ისეთი, რომელიც იღებს“, — ძველ თემას დაუბრუნდა ბაკური.

„ჰოდა, გასასვლელში რომ კამერაა-თქო, ხომ ხედავ, წითლად ციმციმებს, უეჭველი მუშაობს,“ — მიუგო №0578-მა და საკანში დაბრუნდა.

ცოტა ხნის შემდეგ, №0578-ის კამერაში პატიმარი შევიდა და სასხვათაშორისოდ თქვა, თავის დაშტირვას აპირებს ბაკურა, მთელი ზონა გასასვლელთან რომ კამერაა, იქ დგასო. ცნობისათვის გეტყვით, რომ თუ რომელიმე პატიმარი ვენების გადაჭრას, გაშიშვლებას, ყელის გამოჭრას ან სხვა რამეს ისეთს აპირებდა, რომელიც პირადად მას ეხებოდა ანუ „ლიჩნი“ მიზეზი იყო, ვერავინ უშლიდა. ამიტომ, როცა №0578 საკნიდან თავპირისმტვრევით გავარდა, შემდეგი სურათი დახვდა: ბაკური კამერის წინ წელს ზემოთ შიშველი იდგა, ირგვლივ ასამდე პატიმარი შეკრებილიყო და მშვიდად ელოდა, როდის დაირტყამდა ბაკური მუცელში საიდანღაც ნაპოვნ და წვერწამახულ ლურსმანს. გასასვლელის მეორე მხრიდან ბადრაგი გამოჩნდა. პოლიციელები მორბოდნენ, როგორც ჩანს, კამერაში დაინახეს, რასაც აპირებდა ერთ-ერთი პატიმარი და გამოეშურნენ.

„იჩქარე, ბაკურ, თორემ მოვლენ და წაგართმევენ შტირს“, — ეს №11 საკნის ერთ-ერთი ბინადრის ხმა იყო. №0578-მა ვეღარ მიასწრო, ბაკურმა მარჯვენა მძლავრად მოიქნია და ლურსმანი მუცლის მარცხენა მხარეს ჩაირტყა. მეორედ მოქნევა ვეღარ მოახერხა — №0578-მა მაჯა დაუჭირა და ლურსმანი წაართვა. რამდენიმე წამში ბადრაგიც მოვიდა და ბაკური ზონის საავადმყოფოში გააქანა.

„თქვენთან საქმე მაქვს“, — კბილებში გამოსცრა №0578-მა და მე-11 კამერის პატიმრებს თვალით ანიშნა, წამომყევითო. გზად მაყურებლის კამერაში შეიარა, ბაკურისთვის წართმეული შტირი ნარზე დააგდო, თქვენ მიხედეთო და №11 საკანში შევიდა.

„მგონი, ყველა მიცნობთ. ისიც იცით, რომ ჩემი ინიციატივით, ყოველი თვის ბოლოს, თქვენი ასაკის გამო, ობშიაკიდან გამონაკლისს ვუშვებთ და ჩაის და სიგარეტის გარდა, აქ იმდენი „პაჩკა“ კარაქი ჩამოდის, რამდენიც ხართ. პატივს თქვენს ასაკს ვცემ, მაგრამ არ ვცემ პატივს იმას, რასაც სხვა პატიმრებს ეუბნებით. ერთი კაცი მითხარით, ვისაც ჭკუა დაარიგეთ და თავს არაფერი აუტეხა. კაცს თავი სტკივა და თქვენ მუცელში შტირის ჩარტყმა ურჩიეთ, თან რაღაც ლურსმნის. რომ დაიბრიდოს, პასუხს ვინ აგებს მაგის მშობლების წინაშე, ამიხსენით, აბა, მთელი ყურადღებით გისმენთ, ასაბნიაკებო“, — №0578 აშკარად გაცოფებული იყო.

„ძველებმა“ ერთმანეთს გადახედეს, მერე კი ყველაზე უხუცესმა, მეტსახელად პაპამ დაიწყო.

„პირდაპირ გეტყვი, რომ შენ არ იცი ბევრი რამ. მაგალითად, ის რომ კარაქს შენი ინიციატივით გვაძლევენ, კარგია, მაგრამ იცი, მაგ კარაქს როგორ ვჭამთ? პურზე წავუსვამთ, მერე ამ პურის ნაჭერს ვაბრუნებთ, რომ არ ჩანდეს და ისე. ასე ვართ მიჩვეული, არესტანტებს ადრე კარაქის და ასეთი ფუფუნების უფლება არ ჰქონდათ. თუ მოჭარბებული რამ გამოჩნდებოდა, ობშიაკში ჩაი ან სიგარეტი უნდა დაგემატებინა. ახლა სხვა დროა, მაგრამ ჩვენ ძველი ყაიდის ხალხი ვართ. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი რჩევის შემდეგ ვიღაცამ ვენა გადაიჭრა ან თავი დაიშტირა, გეთანხმები, ასეა, მაგრამ შენ ხომ არ იცი, რისთვის მოდიან ისინი ჩვენთან და რას გვეკითხებიან?! იმათ ის უნდათ, ისე დაირტყან შტირი, ან ისე გადაიჭრან ვენა, რომ არ მოკვდნენ. გესმის ახლა? ბაკურამ რატომ დაირტყა მაინცდამაინც მარცხენა მხარეს და მარჯვენა ხელით, როცა იცი, რომ ცაციაა?! იმიტომ, რომ ჭიპიდან მარცხნივ და ოდნავ მაღლა არაფერია და უეჭველი გადარჩება. სამაგიეროდ, საავადმყოფოში მოხვდება და ეგებ, ის ნანატრი ტომოგრაფიაც გადაუღონ. ახლა სამედიცინო ტერმინი გამართულად რომ ვახსენე, სახეზე შეგეტყო, გაგიკვირდა. ექიმი ვიყავი გარეთ, თან არცთუ ცუდი, მაგრამ წამალმა მომსპო. იმ ბიჭმა, ორი კვირის წინ ყელი რომ გამოიჭრა და საავადმყოფოში წასვლას მიაღწია, ჩვენთან გაიარა კონსულტაცია და ყელის გამოჭრა ორ ნაკერად დაუჯდა. ამას ვასწავლით ჩვენ, როგორ გადარჩნენ, თორემ გადაწყვეტილებას ყველა ინდივიდუალურად იღებს. ბაკურას არაფერი მოუვა, დამიჯერე, მე ვაგებ პასუხს“, — დაასრულა პაპამ.

„და კიდევ, სანამ ჩხუბს დაიწყებ ხოლმე, დაფიქრდი. გიყურებთ, კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ ძალიან ფეთქებადი ხასიათი გაქვს და ამან შეიძლება, ცუდი სამსახური გაგიწიოს. წეღან გონორით რომ გვითხარი, თქვენთან საქმე მაქვსო და ამხელა ხალხი ფარასავით რომ გამოგვირეკე, ახლა რომ ახსნა მოგთხოვოთ მაგის, რომ ჩავთვალოთ, შეურაცხმყოფელი ტონი გქონდა, როგორ ახსნი? ვერ ახსნი და მოგხვდება. ამიტომ გეუბნებით, თავს უნდა მოერიო, ყველაფერი ისე არ არის, როგორც გარედან ჩანს. ბაკურა რომ წერდა, თავი მტკივაო, იქნებ, პაბეგის აწევა უნდა და იმიტომ წერდა ამდენს? იცი მისი ფიქრები? — არ იცი. ჰოდა, თავს ნურაფერზე დადებ და უბრალოდ, მეტი იფიქრე, ჩემო მამავ და შვილო“, — ეს უკვე სხვა ასაბნიაკის სიტყვები იყო.

„მოიცათ, გაქცევაზე შემთხვევით თქვი თუ მართლა აპირებს რამეს? ბევრი აღარ აქვს დარჩენილი, უდო-ც ეხება უკვე“, — აღელდა №0578.

„მაგაზე არ იდარდო შენ... ყველა თავისით წერს ბედს“, — გაუღიმეს მოხუცებმა.

***

ბაკურს ტომოგრაფია მაინც არ გადაუღეს და დღეს, ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზით, ფსიქიატრიულში მკურნალობს.

ვერსიანიუსი

შსს-მ გურჯაანში მომხდარი მკვლელობა გახსნა

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი ჩ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანში, ურთიერთშელაპარაკებისას, მამა-შვილი — 1959 წელს დაბადებული ნოდარ ე. და 1988 წელს დაბადებული ჯაბა ე. ცივი იარაღით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ჯაბა ე. მიყენებული მრავლობითი ჭრილობების შედეგად საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა, ხოლო ნოდარ ე-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის მძიმეა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გიორგი ჩ. მომხდარიდან მეორე დღეს გურჯაანში დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

სასაზღვრო პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1962 წელს დაბადებული ბადრი ჟ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ბრალდებით მარნეულში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 1 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,14145 გრ ჰეროინს შეიცავს. გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

შსს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილე დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილე მამუკა ცაავა დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2015 წლის მარტის დასაწყისში თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილე მამუკა ცაავა საქართველოს მოქალაქეს სამსახურის დაწყებაში დახმარებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდაც, ქრთამის სახით მოსთხოვა და ეტაპობრივად გამოართვა 3 000 ევრო.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

მანავის „წმინდა გიორგი“. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

ქვათა მატიანე

ჭიაბერის მამული

სუჯეთი

გელა ქოქიაშვილი

მარტი იწურება, მაგრამ დღე იზრდება, საბედნიეროდ. თორმეტ-პირველ საათამდე შემიძლია გიორგიწმინდის, ანთოკისა და მარიამჯვარის რამდენიმე ეკლესია შემოვირბინო და მანავში ისე ჩავიდე. იქ ოპერატორი სოზარ გულბანი და ბურდიანელი ნუგზარ ტაბატაძე შემომიერთდებიან გერონტი კაჯილაშვილის მანქანით... რვიდან პირველ საათამდე გიორგიწმინდელმა მიხეილ გორელაშვილმა უნდა გამიწიოს მეგზურობა თავისი „ნივით“. კარგი იქნებოდა, თვალთხევსაც ავყოლოდი საგარეჯოდან, მაგრამ დრო არც ასე თავზესაყრელი მაქვს.

გიორგიწმინდაში უძველესი ეკლესიები არ გვხვდება (ალბათ, დრო-ჟამს ვერ გაუძლეს), თუმცა ისიც საკითხავია, რომელი ეპოქისა უნდა ყოფილიყო ტყეში, სასაფლაოზე მდგარი „**ღვთისმშობელი**“, რომელიც ისე აღუდგენია სოფელს ცემენტით, რომ სახე მთლიანად დაუკარგავს... გარდა ამისა, დასახლების ცენტრში არის XVIII საუკუნის **ღვთისმშობლის კომპლექსი**, რომელშიც, მოზრდილ, დარბაზულ ეკლესიასთან ერთად, 1801 წელს აგებული ორი ცილინდრული კოშკი შედის. მოქმედ ეკლესიას მრევლის მზრუნველი ხელი არ აკლია და სანიმუშოდ გამოიყურება. ერთ-ერთმა ქალბატონმა შეფარული სიამაყით მითხრა, რომ ჭიაბრიშვილი იყო და ფრიად წარჩინებული წინაპრები ჰყავდა. მივხვდი, რომ XII-XIII საუკუნეებში მოღვაწე იმ ჭიაბერის ოჯახზე მესაუბრებოდა, რომელიც ერთიანი საქართველოს მეჯინიბეთუხუცესი იყო, მცირე ხნით კი ამირსპასალარობასაც ითავსებდა. გამომშვიდობებისას, ღირსეული ქალბატონს ავუხსენი, რომ ჩემი იმდღევანდელი მოგზაურობის მთავარი მიზანი სწორედ ჭიაბერის ძველთაძველი მამულის — მანავის შემოგარენის ნახვა იყო.

ანთოკში გადავედით... ტყეში იმ სასაფლაოს მივადექით, სადაც პაპუნაშვილები, თარიმანიშვილები, მეკოკიშვილები, პურკაციშვილები, ოსეფაშვილები და გოგნიაშვილები განისვენებენ. ანთოკი პატარა, 20-კომლიანი სოფელია და სასაფლაოზე მდგარი მათი ეკლესია **„წმ. კვირიკეც“** მინიატურული სალოცავია (3,5X4,8 მ). იგი კლდის ფლეთილი ქვებითაა აშენებული, გვიანი შუასაუკუნეებისაა და უხეშად შეკრული კამარით არის გადახურული. 2008 წელს სოფელს საკუთარი ძალებით აღუდგენია „წმ. კვირიკე“ და ყოველ 28 ივლისს დღეობას იხდის. ამ დღეობას სოფელ უდაბნოში მცხოვრები სვანებიც უერთდებიან.

ანთოკი და მარიამჯვარი ერთმანეთზე გადაბმული სოფლებია. მათ მცირე ღელე ჰყოფს.

მარიამჯვარის შესასვლელში ყურადღებას იპყრობს ერთი ძველი და მეტად ორიგინალური **საცხოვრებელი სახლი**. იგი სანახევროდ ქვითკირისაა, სანახევროდ — ხის. **როგორც ანთოკელი ფერმერი ნიკოლოზ გოგნიაშვილი მიხსნის, ეს სახლი სულ მცირე 150 წლისაა და იგი შაქრო და ნინო გოცირიძეებს ეკუთვნოდათ. ცოლ----ქმარი დაახლოებით 30-35 წლის წინ გარდაცვლილან 115 და 110 წლის ასაკში. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ სახლში ერთი თუ ორი ღამე კონსპირაციაში მყოფ სტალინს გაუთენებია.**

მიტოვებულ სახლში შევდივარ. ქვევით სარდაფი, მარანი და საოსტიგნეა; ზევით — 3 მცირე ოთახი, მიწიდან სხვადასხვა დონეზე; ოთახებში დარაბებიანი ნიშები, ძველებური კარადები, გაყვითლებული გაზეთები, ე.წ. ატამანკა და დამტვერილი ბოთლებია; კედელზე — დიდი ბელადის სურათი... სახლი იმდენად კოხტა და ისტორიულია, რომ კულტურის ძეგლთა ნუსხაში შესატანი და მოსავლელია.

სოფლის თავში ავდივართ. აქედან ჩრდილოაღმოსავლეთით, ტყის დასაწყისში, გვიანი შუასაუკუნეების „წმინდა გიორგია“. იგი ისე აღუდგენიათ და შეულესავთ ცემენტით, რომ ეკლესიის შთაბეჭდილებას აღარ ტოვებს... უკან გამოვბრუნდით და ამჯერად აღმართს მოზრდილი ხევის ჯერ მარჯვენა, მერე კი მარცხენა სანაპიროდან შევუყევით. 500-600 მეტრის გავლის შემდეგ დიდებული სანახაობის მომსწრე შევიქენი. ტანაყრილ ტყეში ჩამჯდარ მცირე კორდზე გაზაფხულის მაცნედ, ფურისულებთან ერთად, თითქოს, მცირე საყდარიც ამოსულიყო მიწიდან. იმ ათასზე მეტ ტაძარს შორის, რომელიც მინახავს და მომილოცია, მარიამჯვარის ეს კოხტა „**წმინდა მარინე**“ გონებაში სწორედ ამ ფურისულებით ჩაიბეჭდა. მოცისფრომოვარდისფრო ფურისულები თითქოს კორდზე კი არა, ტაძრის ბებერ,, ხავსიან კედლებზე, რიყის მსხვილ ქვათა წყობაში იყო ამოსული.

ეკლესია სამოყვარულო დონეზეა აღდგენილი. რის გამოც სიმაღლეში ქვათა წყობის რამდენიმე რეგისტრი და ლავგარდანი აკლია, გადახურვითაც, უბრალოდ თუნუქის სახურავითაა გადახურული. ადრეშუასაუკუნეების საყდარს ერთადერთი კარი სამხრეთიდან აქვს და ახლა არქიტრავულია, მაგრამ ძველი ნაშენობის კვალი ლუნეტურ ფორმაზე მიგვანიშნებს. მისგან მარჯვნივ და ზევით სწორკუთხა სარკმელია. ორი ასეთი სარკმელი ჩრდილოეთ კედელშიცაა, საკურთხეველში კი ერთი ვიწრო სარკმელია გაჭრილი. ეკლესიაში შემორჩენილია ქვის ტლანქი კანკელის ნაწილი, რომელიც ნალისებრი მოყვანილობის აფსიდს ფარავს. კონქს 1 მეტრის სიმაღლის შუბლი უნდა ჰქონოდა. საკურთხევლის კედელზე ტრაპეზის ქვაა მიდგმული. ეკლესია გარედან სიგრძეში 6,2 მ-ია, სიგანეში — 4,2 მ.

მანავისკენ დავიძარი, სადაც უკვე მელოდნენ ჩემი მეგობრები, ორხიდიანი მანქანის მფლობელი გერონტი კაჯილაშვილი და ვიდეოოპერატორი სოზარ გულბანი. მათ შეთანხმებისამებრ, მოუყვანიათ ბურდიანელი მეგზური ნუგზარ ტაბატაძე — კაცი მხნე და მოხერხებული, ცივგომბორის ჩინებული მცოდნე და ისტორიული ძეგლების დიდი მოყვარული. ნუგზარს თან ვაჟიშვილიც წამოუყვანია და ცული, თოკები და ჯალამბარიც წამოუღია. მისი თქმით, მანავის ციხის შემდეგ, ცივგომბორის ტყეში გზა ძალიან გაგვირთულდებოდა.

გადაღებას მანავის ციხის ქვეშ, **ტურის უბანში** მდგარი „**წმინდა გიორგიდან**“ ვიწყებთ, რომელიც ცენტრალური საავტომობილო ტრასიდანაც კარგად მოჩანს. **ეს ეკლესია ე.წ. კუპოლ-ჰალეს ტიპისაა, ანუ გუმბათიანი დარბაზული ეკლესიაა, რომელიც სიგრძეში 10,8 მ-ია, ხოლო სიგანეში — 6,9 მ. დარბაზის მართკუთხედის ცენტრში კედლები ამაღლებულია კვადრატით, რომელსაც 8-წახნაგა გუმბათის ყელი ეყრდნობა.** ტაძარი ნაგებია უმეტესად რიყის ქვითა და ძველებური აგურით. ფრონტონებში და ზოგიერთ კონსტრუქციულ ნაწილში გამოყენებულია შირიმის მოზრდილი კვადრები. აგური უმეტესად ნახმარია გუმბათის ყელის რვა თაღ-სვეტის შესაქმნელად, ფრონტონებში ჩასმული რელიეფური ჯვრების გამოსახატად და ლავგარდანების შესამკობად. შიგნით, ტაძრის ზედა მონაკვეთი, კამარა-გუმბათიანად, მთლიანად აგურისაა, ხოლო ქვედა მონაკვეთის წყობაში, აგურთან ერთად, რიყის მსხვილი ქვებიც გვხვდება. ხუროთმოძღვრის მიზანი სულაც არ ყოფილა წყობის პარალელების სიზუსტე, რადგან ირეგულარული წყობა იმდენად ჰარმონიულია, რომ თვალს იტაცებს. საკურთხევლის აფსიდის ცენტრში, სარკმლის ქვევით, კედელზე ტრაპეზის ქვაა მიდგმული, ხოლო სამხრეთ და ჩრდილოეთ გვერდებში თითო-თითო მაღალი, ფართო და ღრმა, კონქიანი ნიშია გამოჭრილი. რაც შეეხება საკურთხევლის აფსიდის კონქს, იგი შეისრულია. აქა-იქ შემორჩენილია ფრესკათა ბუნდოვანი აბრისები.

გიორგიწმინდის ღვთისმშობლის კომპლექსი

ანთოკის „წმინდა კვირიკე“

მარიამჯვარის „წმინდა მარინე“

მანავის ეს ტაძარი — „წმინდა გიორგი“ 1794 წელს აუგია გარეჯის უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარ ექვთიმეს. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ მანავი ნინოწმინდის ეპარქიის საეკლესიო სოფელი ყოფილა და მისით დავითგარეჯის ერთ-ერთი მონასტერი ცხოვრობდა.

მანავის ციხეზე გზა სოფლის აღმოსავლეთ უბნიდან ადის. სანამ ციხე-დარბაზში ავიდოდეთ, მანამდე რამდენიმე ცნობისა და ჰიპოთეზის გაცნობა არ გვაწყენდა:

თუ სამეცნიერო სასწაული არ მოხდა და ტოპონიმი „მანავი“ უძველეს წინააზიურ გაერთიანება „მანას“ არ დაუკავშირდა, **მაშინ სოფლის სახელწოდება მარგილის მეორენაირი სახელის — მანას მრავლობითი რიცხვის ფორმა უნდა იყოს. მანას ადრე მიჯნისა და საზღვრის ფუნქცია ჰქონდა და სწორედ აქედან მომდინარეობს სიტყვა „სამანი“.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ უძველესი დასახლება მანავი გაცილებით ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო, ტოპონიმის ჩემეული ახსნა რეალური უნდა იყოს და აი, რატომ: საქართველოს ორი დიდი პროვინციის — ჰერეთისა და კახეთის ძველთაძველი ჩრდილო საზღვარი ერთ მონაკვეთში მანავის ცივზე (გომბორის ქედის ერთ-ერთ მწვერვალზე) გადიოდა. სწორედ ამ მწვერვალის სამხრეთ ქანობზე უნდა ყოფილიყო ძველი მანავი, რომელიც უძველესი ჰერეთის ერთ-ერთი საერისთავო ქვეყნის — სუჯეთის ცენტრადაც კი შეიძლება მოვიაზროთ. საამისო მტკიცებულებას მომდევნო წერილში შემოგთავაზებთ.

ნელ-ნელა მაღლა ვიწევთ და ციხე-ქალაქს ვუსწორდებით. ვუყურებ და ვფიქრობ: იოლი შესაძლებელია, ამ კომპლექსს საფუძველი სწორედ ერისთავთ-ერისთავმა ჭიაბერმა ჩაუყარა, რომელიც გიორგი III-ის მეფობის ჟამს მოღვაწეობდა. მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ, დიდი ჭიაბერის ჩამომავალი გვარის ქალბატონს გიორგიწმინდაში შევხვდი. ჭიაბრიშვილები და ჭიაბერაშვილები თბილისშიც საკმაოდ არიან, აი, მანავში მცხოვრებ 23 გვარში კი ვერ აღმოვაჩინე. იქნებ ისინი მას შემდეგ გაეცალნენ აქაურობას, რაც სოფელი ნინოწმინდის ეპარქიის საეკლესიო დომენი გახდა? სოფელში შემორჩენილ სააზნაურო გვარებში აქ მხოლოდ დუჩიძე დაგვისახელეს და გვითხრეს — მათ ყმები არც არასდროს ჰყოლიათო.

ჭიაბერის გარდა, მანაველ ერისთავთ-ერისთავად, მოულოდნელად, კიდევ ერთ პიროვნებას გვაცნობს ისტორია. ესაა რუსუდან მეფის სახლთუხუცესი ვაჩნაძე. მოულოდნელი აქ ის არის, რომ ვაჩნაძეებს ამ მხარეში მამულები არასოდეს ჰქონიათ, მათი საბატონო სოფლები ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე იყო კარდანახსა და კალაურს შორის. იქნებ სწორედ ვაჩნაძის გამოჩენას მოჰყვა მანავიდან ჭიაბრის ძეების წასვლა?!. ვინ იცის...

მარიამჯვარი. გოცირიძეების მიტოვებული სახლი

ავტორის ფოტოები

1.კასრში მცხოვრები ბერძ. ფილოსოფოსი
2. ცალკეული მოძრაობა სპორტში
3. სევანის ტბის მეორე სახელი
4. ჩრდილოეთი მეზღვაურთა ენაზე
5. ადამიანის ვირუსული დაავადება
6. კვაზიმოდოს სატრფო
7. ფრანგული ყურძნის ჯიში
8. ნაკრძალი წყალტუბოს რაიონში
9. ლონდონის „არსენალის“ მწვრთნელი
10. ბელგიური რევოლვერი
11.ბიტუმით გაჟღენთილი საიზოლაციო მასალა
12.ჩეხეთის დედაქალაქი
13. საფოსტო გზავნილი
14.აღმოსავლური ორთაბრძოლა
15. ორგანიზაციის საქმიანობის შემოწმება
16. აფრიკული შხამიანი გველი
17. მხარე, მიდამო
18.რკინის კეტი სიმძიმეების ასაწევად
19. აღმოს. ციმბირის ძირძველი ხალხი
20. ამაზონის მტაცებელი თევზი
21.ციისარტყელას ერთ-ერთი ფერი
22. ოპერა „... დი ლამერმური“
23. კურდღლის ნაშიერი
24. ერთეულოვანი ვექტორი
25.პლან. იუპიტერი
26.ისტორიის მუზა
27. მათემატიკის ნაწილი
28. ადამის მეუღლე
29. „საქარგავი მძივები“
30. შიშველი, წვეტებიანი კლდე
31. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება
32. მოზაიკის ფერადი ქვა
33. ფინური აბანო
34. თუთიყუშის ჯიში
35. იგივეა, რაც ბატკანი
36. გეიშას მოწაფე
37.სიბრძნის ქალღმერთი რომაულ მითოლოგ.
38. ქალაქი რაჭაში
39.ზემო ქართლის ისტორიული სახელწოდება
40. ლურჯი მინერალური საღებავი
41. თეატრის კოლექტივი
42. „ყველაფრის მკურნალი“
43.ახალ-ზელანდიური უფრთო ფრინველი
44. მოულოდ-ნელი შემოწმება
45. რუმინეთი-სა და მოლდავეთის ეროვნული ვალუტა
46. დამუხტული ატომი
47.რადიოტალღებით სხეულის მდებარეობის განმსაზ-ღვრელი აპარატი
48. ნატიფად, მოდაზე ჩაცმული მამაკაცი
49. შიშველი სხეული ფერწერაში
50. ფეთქებადი ნივთიერება
51.საქართველოს საპორტო ქალაქი
52. მიანმარის ყოფილი სახელწოდება
53. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
54. სამი წერტილი კამათელზე
55.ძველ-ბერძენთა სიმებიანი საკრავი
56. საკონდიტრო ფხვნილი
57.ძველებ. რუსული სიგრძის საზომი
58. სარწყავად გაჭრილი პატ. არხი
59. თევზის ძვალი
60. „უძინართა მზის“ პერსონაჟი
61. სამკურნალო მცენარე

თუთიყუშები ყავას მიეძალნენ

ქალაქ ღაზას ერთ-ერთ ზოომაღაზიაში ორი თუთიყუში ცხოვრობს, რომლებიც ყავას ისე მიეჩვივნენ, სასმელის მიმართ დამოკიდებულებ გაუჩნდათ. ოთხი წლის კაკადუ რიკო და მისი ორი წლის მეგობარი კოკო, ბოლო სამი თვის განმავლობაში, დღეში სამ ფინჯან ამ არომატულ სასმელს მიირთმევენ, ზოგჯერ კი ჩაისაც ჯერდებიან. პირველად ყავას გემო ფრინველებმა მაშინ გაუგეს, როცა პატრონის მაგიდაზე უყურადღებოდ მიტოვებულ ფინჯანში ჩაყვეს ნისკარტი. თუთიყუშებს სასმელი მაშინვე მოეწონათ, გამოცოცხლდნენ, გამხიარულდნენ, სიმღერა დაიწყეს და ბოლო ბოლო ყავის „ლომკის“ სიმპტომებიც გამოაჩნდათ: საშინლად შფოთავდნენ და ზოომაღაზიაში შესულ ადამიანებზე თავდასხმას ცდილობდნენ. ამის გამო დაწესებულების მფლობელი იძულებული გახდა, თუთიყუშებისთვის კვლავ მიეცა ყავა. ახლა ისინი ადგილობრივ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენენ — მაღაზიაში უამრავი ადამიანი შედის იმის სანახავად, როგორ მიირთმევენ ფრინველები მატონიზირებელ სასმელს. არადა, უნდა აღინიშნოს, რომ კოფეინი ფრინველებისთვის ტოქსიკურად ითვლება და ვეტერინარები არავის ურჩევენ მათთვის ისეთი საკვებისა და სასმელის მიცემას, რაც ამ ნივთიერებას შეიცავს.

რაზე მიგვანიშნებს ქალის წელი

ამერიკელი ანთროპოლოგი ელიზაბეტ კეშდანი დარწმუნებულია, რომ ქალის ხასიათის ამოცნობა მისი წელის მოცულობითაა შესაძლებელი. კვლევის წყალობით, რომლის დროსაც კეშდანმა 30 სხვადასხვა პოპულაცია შეისწავლა, ზოგიერთი საინტერესო დასკვნის გაკეთება შეძლო. მაშ ასე, სუსი წელი ძლიერი ხასიათის მქონე ქალს აქვს. კვლევების მიხედვით, სუსტი სქესის წარმომადგენელთათვის ყველაზე წარმატებული თანაფარდობა წელის გარშემოწერილობასა და გვერდებს (ბარძაყებს) შორის მიიჩნევა 0,7 და უფრო ნაკლებიც. თუმცა, თანამედროვე მსოფლიოში ეს მაჩვენებელი 0.8-საც უახლოვდება. ეს ზრდა უკავშირდება ჰორმონების ზემოქმედებას, მაგალითად ანდროგენებს, რაც ქალს უფრო ძლიერსა და ამტანს ხდის, მაგრამ ამავდროულად წელის მიდამოებში ქონის დაგროვებას უწყობს ხელს. ამის შედეგად კი აღნაგობა ბოძს ემსგავსება. კეშდანი აღნიშნავს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ქალებს უფრო „დაქვემდებარებული“ მდგომარეობა უკავიათ ეკონომიკურ ასპექტში — იაპონია, პორტუგალია, საბერძნეთი, მათი წვრილი წელი განსაკუთრებით ფასობს. დანიაში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში, სადაც ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობაა, თხელი სილუეტები სულ უფრო იშვიათად გვხვდება. ანთროპოლოგი ასევე აღნიშნავს, რომ წვრილი წელის მფლობელები კარგი ჯანმრთელობით გამოირჩევიან, ისინი იშვიათად არიან უნაყოფონი და არ აწუხებთ ქრონიკული დაავადებები.

ნაყინიც აფროდიზიაკი გახადეს

ვალენტინობის დღესასწაულზე ნაყინის ბრიტანელმა მწარმოებელმა Yummy Yorkshire აფროდიზიაკი-ნაყინი გამოუშვა, რომლის შემდგენლობაშიც სტაფილო და მწვანე ილია (კარდამონი), ისინი კი ვნების გაღვივების შესაძლებლობითაა ცნობილი. ახალი პროდუქტის ავტორთა განცხადებით, სტაფილო ილთან ერთად ასევე სასარგებლოა დეპრესიის დროს. შეყვარებული წყვილებისთვის, ვისაც მძაფრი ვნება სურს, მენიუშია ნაყინი მწვავე შოკოლადით, იტალიურ სამზარეულოზე შეყვარებულებისთვის კი — ნაყინი რეჰანით.

ტირილის სემინარები იაპონიაში

დიდი ხანია ცნობილია სიცილის თერაპიის შესახებ, მაგრამ ამ „მედლის მეორე მხარეც“ თუ არსებობდა, დღემდე არავისთვის იყო ცნობილი. ამომავალი მზის ქვეყანაში ადამიანები ჯგუფებად იკრიბებიან, ხმამაღლა რომ იყვირონ და იტირონ. სემინარებს ტაკაში სეგო ატარებს, რომელიც თავს „ცრემლების სომელიეს“ უწოდებს. იგი წიგნებს, ფილმებსა და ვიდეომასალებს იყენებს, ადამიანებში ემოციების გამოსაწვევად. იაპონიაში ტირილი პოპულარული არ არის. აქაურებს ურჩევნიათ, უცხო ადამიანების წინაშე ემოციები მოთოკონ, რადგან სისუსტედ ეთვლებათ. ამიტომაც თვეში ორჯერ „რიუკაცუ“-სემინარები ეწყობა, სადაც ადამიანები სიხარულისგან ყვირიან ან ტირიან, ნეგატიურ ემოციებსაც ხმამაღლა გამოთქვამენ. ეს მათ ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვაში, დაძაბული ურთიერთობების აღმოფხვრაში ეხმარება. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სიცილის ეფექტი მხოლოდ ერთ დღეს გრძელდება, ყვირილისა და ტირილის კი — მთელი კვირა. აღმოჩნდა, რომ ტირილი გაცილებით სასარგებლოა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის. როცა ადამიანი ტირის ემოციებისგან, ცრემლში ისეთივე ჰორმონები ჩნდება, რასაც სხეული გამოყოფს ფიზიკური დატვირთვის დროს. ამიტომაც სემინარების ორგანიზატორის მთავარი ამოცანაა, არავინ წავიდეს მშრალი თვალებით. სემინარის მონაწილეები ამბობენ, რომ ძალიან კმაყოფილები არიან მეცადინეობის შედეგებით — ტირიან იქ, შინ კი მშვენიერი განწყობით ბრუნდებიან.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲔᲯᲐᲜᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	2				5		3	
3					8	7		
	6		3	1	4			
		7				1		
			1	8	9			
		1				9		
			8	7	6		1	
		6	5					3
	4		9				2	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	1		6				7	
		8		7				
	6	5		3	2		9	
6	9		3			7		
		2			7		8	6
	5		7	4		3	1	
				1		8		
	4				5		6	

ᲠᲗᲣᲚᲘ

		1		9		7		
	9		6	7	5			
	6			3				8
5	3							
		7				1		
							2	4
9				4			3	
			5	2	9		1	
		2		1		4		

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		8	6	4				
		4	5					7
9					7			4
	1						6	3
		6		1		2		
2	5						1	
7			8					2
8					6	5		
				3	2	8		

ფეხსაცმელი და ქალის ხასიათი

სპეციალისტები გვრწმუნებენ, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლეთა ხასიათის ამოცნობა ადვილად შეიძლება ფეხსაცმლის მიხედვით. ზოგადად, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს უპიტარესობას ანიჭებენ გოგონები, რომელთაც დაბალი თვითშეფასება აქვთ, მაღალი ქუსლის დახმარებით კი სურთ, სხვაზე მეტად წარმოჩინდნენ და თავდაჯერებაც მოემატოთ. მაღალი ქუსლი უყვართ მათაც, ვისაც ყურადღების ცენტრში ყოფნა მოსწონს — ისინი გამომწვევები, სექსუალურები და მომხიბვლელები არიან. წვრილქუსლიან ფეხსაცმელს ის ქალბატონები ირჩევენ, რომელთაც ახალი ნაცნობობა და ფლირტი უყვართ. ისინი ძალიან დახვეწილები არიან და ქალური ნატურით გამოირჩევიან.

ფეხსაცმელს მაღალ პლატფორმაზე უპირატესობას ის ქალები ანიჭებენ, ვისაც მტკიცე და პრინციპული ხასიათი აქვს. მათ არ უყვართ, როცა ეკამათებიან, რადგან დარწმუნებულნი არიან საკუთარ სიმართლეში. ასეთ მანდილოსნებს მეტად არაპროგნოზირებადი ხასიათი აქვთ, ამიტომ ფსიქოლოგები მამაკაცებს ურჩევენ, სიფრთხილე გამოიჩინონ. დაბალ პლატ-ფორმას რომანტიკული ბუნების, უკონფლიქტო გოგონები ატარებენ. ისინი საკმაოდ მიზანდასახულნი არიან და სწავლასა თუ სამსახურში ყოველთვის წარმატებას აღწევენ.

დაბალქუსლიან ფეხსაცმელს მშვენიერი სქესის ის წარმომადგნლები იცვამენ, ვისაც რბილი ხასიათი აქვს, თავშეკავებ-ულები არიან და მუდამ ღრუბლებში დაფრინავენ. ზოგჯერ მათ დეპრესია ეუფლებათ და უმიზეზოდ ტირიან. ასეთ ქალებთან ურთიერთობისას ადვილია კომპრომისის მიღწევა. სწორძირიანი ფეხსაცმელი მათ უყვართ, ვინც ბევრს მუშაობს და მუდ-მივად გადაღლილია. ამავდროულად ისინი კარგი დიასახლისებიც არიან და საკუთარ მოვალეობას ბრწყინვალედ ართმევენ თავს. სპორტული ფეხსაცმლის მოყვარულები, ზოგადად, ცვალებადი ხასიათით არ გამოირჩევიან, ისინი კონსერვატიულები არიან და უპირატესობას კომფორტს ანიჭებენ. ასეთი მანდილოსნები უცნობ ადამიანებთან ადვილად პოულობენ საერთო ენას, ყოველთვის გულახდილები და გულწრფელები არიან.

ყველა დროის საუკეთესო სათამაშო

კონსტრუქტორი „ლეგო“ მოფლიოში ნყველა დროის საუკეთესო სათამაშოდ აღიარეს. შესაბამისი რეტინგი ინტერნეტ-რესურსმა ToyNews შეადგინა სათამაშოების მწარმოებლებსა და ამ ინდუსტრიის სხვა პროფესიონალ მონაწილეებს შორის. სიაში მეორე ადგილი „მონოპოლმა“, მესამე კი Action Man-ის თოჯინებმა დაიკავეს. ტოპ-ათეულში შევიდა ასევე რბოლის მანქანები და Scalextric-ის ტრასები. მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა მაგიდის თამაში Subbuteo. მეექვსე-მეშვიდე ადგილები გაიყვეს რუბიკის კუბიკმა და სათამაშოებმა „ვარსკვლავური ომებიდან“. ათეულში მოხდვნენ ასევე Matchbox-ის მანქანები, თოჯინა ბარბი და სათამაშო ბანქო. როგორც რესურსი აღნიშნავს, „ლეგოს“ კონსტრუქტორები ადრეც ყოფილა საუკეთესო სათამაშოების ლიდერი, თუმცა, ამ შემთხვევაში მისი პირველობა თავად სათამაშობის მწარმებლებმა აღიარეს და არა საზოგადოებამ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

8	4	3	2	9	6	1	7	5
7	6	2	1	5	8	4	3	9
1	5	9	7	4	3	6	2	8
3	2	1	6	7	5	9	8	4
6	7	8	9	2	4	3	5	1
5	9	4	8	3	1	2	6	7
2	1	6	5	8	9	7	4	3
4	8	7	3	1	2	5	9	6
9	3	5	4	6	7	8	1	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

9	8	7	6	1	5	4	3	2
6	5	4	7	3	2	1	9	8
3	2	1	9	4	8	7	6	5
5	3	9	4	2	1	8	7	6
8	7	2	5	9	6	3	4	1
1	4	6	3	8	7	5	2	9
2	9	5	1	7	4	6	8	3
7	6	8	2	5	3	9	1	4
4	1	3	8	6	9	2	5	7

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	5	4	8	3	7	2	9	1
7	3	2	1	6	9	8	5	4
1	9	8	2	5	4	7	6	3
4	1	3	7	9	2	6	8	5
5	8	7	4	1	6	9	3	2
2	6	9	5	8	3	4	1	7
3	4	6	9	2	5	1	7	8
9	2	1	3	7	8	5	4	6
8	7	5	6	4	1	3	2	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6	7	5	3	2	4	1	9	8
4	1	3	6	8	9	2	7	5
2	9	8	5	1	7	6	4	3
8	6	4	2	5	3	9	1	7
9	5	1	4	7	6	3	8	2
7	3	2	1	9	8	5	6	4
3	8	7	9	6	2	4	5	1
1	2	9	8	4	5	7	3	6
5	4	6	7	3	1	8	2	9

მე-10 გვერდი: 1. ბროკერი; 2. რეპეტიტორი; 3. კასპაროვი; 4. რემა; 5. ბანჯული; 6. ატონია; 7. ჯოჯოხეთი; 8. ლალი; 9. ოპოსუმი; 10. სვანეთი; 11. კიკო; 12. სია; 13. ჯონჯოლი; 14. ულუ; 15. იპოთეკა; 16. აკუსტიკა; 17. კასტა; 18. კაპელა; 19. ივრითი; 20. ჭიუხი; 21. კოატა; 22. ბრაილი; 23. უზუნდარა; 24. სუთი; 25. იალაღი; 26. არტემონი; 27. როდენი; 28. მინი-ვენი; 29. ნეგუსი; 30. ბზე; 31. უთო; 32. იერი; 33. როვნო; 34. ნარდი; 35. გურუ; 36. ბაო; 37. რკონი; 38. „ისკრა“; 39. მურეი; 40. რიზე; 41. ნამუსი; 42. თია; 43. პკე; 44. მაორი; 45. სუ; 46. ტაო; 47. აკორდი; 48. პორტიე; 49. ვაზნა; 50. ალტი; 51. ურია; 52. ონი; 53. ჭა; 54. რკო; 55. კატარი; 56. სნო; 57. დონ; 58. კლიენტი; 59. იუკო; 60. აქტი; 61. დუ.

მე-12 გვერდი: 1. მერიდიანი; 2. ტეტჩერი; 3. მესერი; 4. როსელინი; 5. დიადემა; 6. ემფიზემა; 7. ჩიკოტელა; 8. რუსო; 9. იფიკლე; 10. „ერისიონი“; 11. აქსისი; 12. ფიკუსი; 13. აზიმუტი; 14. აბაკანი; 15. ბეზე; 16. ეკლერი; 17. ზიტა; 18. ფირი; 19. კომა; 20. აინი; 21. მული; 22. კასიო; 23. კაბირია; 24. მაჩეტე; 25. ატამანი; 26. რკინა; 27. ნუტრია; 28. სკორე; 29. მოპასანი; 30. ჩაკ ნორისი; 31. ტიპი; 32. რილკე; 33. პატაკი; 34. ათი; 35. ტოლსტოი; 36. კაპელანი; 37. ათინათი; 38. იაგუნდი; 39. ელიბო; 40. რაეო; 41. სეტი; 42. პიკაპი; 43. დომინიონი; 44. მანათი; 45. მროველი; 46. ადონაი; 47. ობსიდიანი; 48. შამპუნი; 49. როლან; 50. აპათია; 51. პაპაია; 52. ურნა; 53. შარფი; 54. ნომი; 55. „ტიიდა“; 56. ალი; 57. ფოიე; 58. ასიკო; 59. ირემი; 60. ვლადი; 61. დათვი; 62. მოვი; 63. სინაი; 64. „ჩიორა“; 65. პაი; 66. არვე; 67. ტომ; 68. კელა; 69. ჩვილი; 70. უდე; 71. ანი; 72. სტოა; 73. ვასო; 74. ადა; 75. „ადიდასი“; 76. ალჩუ; 77. ავი; 78. სასა; 79. ნო; 80. ნანტი; 81. „ტუ“; 82. დომინგო; 83. დასი; 84. „ემი“.

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚ ᲛᲝᲡᲬᲐᲒᲚᲔᲔᲑᲡ ᲢᲧᲣᲘᲚᲔᲑᲡ ᲐᲡᲬᲐᲒᲚᲘᲐᲜ

ნისლიან ალბიონზე, კემბრიჯის Perse School-ში ტყუილის თქმისთვის მოსწავლეების წახალისება ხდება. სოციალურ ქსელში უამრავი ხუმრობა გაჩნდა იმის თაობაზე, რომ ამ სასწავლებელში პოლიტიკოსების ახალ პლეადას ამზადებენ, რომლებიც კარგად შეძლებს მოსახლეობის მოტყუებას. აქაურ სტუდენტებს არ ეშინიათ ტყუილისთვის დასჯის, თუკი ის თავის გადასარჩენადაა მოფიქრებული. მოსწავლეები, რომლებიც ათი წამის განმავლობაში საკუთარი საქციელის გასამართლებლად საკმაოდ დამაჯერებელ ცრუ ისტორიას შეთხზავენ, დაწესებულების რექტორატისგან შექებას დაიმსახურებენ. როგორც სკოლის დირექტორი აცხადებს, ლაპარაკია არა დანაშაულებრივ ტყუილზე, არამედ „პატარა, თეთრ სიცრუეზე“. მისი თქმით, ეს მოზარდ თაობას ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უნარის სძენს. როცა სტუდენტს ათი წამის განმავლობაში შეუძლია მოიფიქროს მისთვის რთული სიტუაციიდან მახვილგონივრული გამოსავალი, ეს პარალელურად მჭერმეტყველებას ავითარებს, — ამბობენ რექტორატის წარმომადგენლები.

1. კუმქვეშა ჯირკვალი
2. ზღვის პატარა კიბო
3.ცნობილი უნგრელი პოეტი
4.გერმანიის ეროვნული ნაკრების მეკარე
5. კოსმოსური ხომალდი
6. მონარქიის დროებითი მმართველი
7. ატ. თვისება შეუერთდეს სხვა ატომების გარკვ. რაოდ.
8.აკრძალვა-თა სისტემა პირველყოფილ ხალხებში
9. ჰომეროსის პოემა
10. ქვეყანა აპენინის ნახევარ-კუნძულზე
11. „ოთახი“ გემზე
12.ქართული ენდემური მსხლის ჯიში
13. ვარდის „წინაპარი“
14.ოგრიკას თანამედროვე სახელწოდება
15. სიტყვის წინსართი, აღნიშნავს „შემდგომს“
16. „მტირალა ხე“
17. კანი ფრჩხილის გარშემო
18. ლიტვის ეროვნული ვალუტა
19. ფეხ-საცმლის შესაკრავი
20. ნები-სყოფის პა-თოლოგიური სისუსტე
21ტუბერ-კულოზის ჩხ-ირების აღმომ. მიკრობიოლოგი
22. ცომში გასვეული და მოხარშული ხორცის ფარში
23. ერთ-ერთი მუშკეტერი
24.კუნთების ტკივილის შეტევა
25.საღილის შემდგომი დასვენება ესპანეთში
26.ჯუზეპე ვერდის ოპერა
27. დახრილი, ალმაცერი
28.ორსახოვა-ნი ღმერთი რომაულ მითოლოგიაში
29. მშვენიერი ელენეს დედა
30.მსუბუქი ოთხადგილ-იანი ეტლი
31. ინგ-ლისელი ფიზიკოსი
32.რაიმე ზემოქმედების საპასუხო მოქმედება
33.უფერო, ზეთოვანი შხ-ამიანი სითხე
34. სანელე-ბელი მცენარე
35.განა-თებულობის საზომი ერთეული
36. პირი, რომელიც ეხმარება კლიენტს რესტორანში ღვინის შერ-ჩევაში
37. მაუგლის მეგობარი დათვი
38. მთავარი საწყობი
39. ფასიანი ქაღალდი
40. აშშ-ის ქალაქი ...-ვეგასი
41. „ოთარ-ანთ ქვრივის“ ავტორის სახელი
42.ბგერის ანარეკლი
43. ტბა აფრიკაში
44. რომის ერთ-ერთი ბორცვი
45.უძველესი წარმართული ღვთაება იბერიაში
46. იგივეა, რაც ბზრიალა
47. რკინიგ-ზის ხაზი
48. ხელით ნაწერის მსგავსი სასტ-ამბო შრიფტი
49. ჭაობის მცენარე
50. ძველებური ესპანური ცეკვა
51.იაპონელი მწერალი
52.კურდღლის ნაშიერი
53. ეკვადო-რის დედაქა-ლაქი
54. ძალიან იშვიათი ნივთი
55.ფიგურული ფრჩხილი(მუს.)
56. მდინარე რუსეთში
57. სოფელი ამბროლაურის რაიონში
58. მზის ღმერთი ინკების მითო-ლოგიაში
59. შოკოლა-დის ხე
60. ძალიან ღრმა ხეობა
61.ნორვეგიის დედაქალაქი
62. მწერალი ... აკუნინი
63. მითოლო-გიური კვანძის „ავტორი“
64.უბედურების სიგნალი
65.ჰაერის მოძრაობა
66.ვაზების მწკრივი ვენახში
67. თივის დიდი გროვა
68. კურკოვანი ხილი
69. ფრანგული ავტომარკა
70.კაუჩუკის ნედლეული
71. ისრის წვერი
72. სასტუმ-როს მსახური ბიჭი
73. სამოას დედაქალაქი
74. ზუსტი საზომი ხელსაწყო
75. პუ-რეულის ნამ-ჯის ნალეწი
76.ქალაქი, რომელშიც ტაჯ-მაჰალი მდებარეობს
77.მაგმური ქანი, სამშენე-ბლო მასალა
78. მარნის პატრონი „ღვინის ქურდებში“
79. კანის ავთვისებიანი სიმსივნე
80. გაზაფხუ-ლის ყვავილი
81. ბილიარ-დის სათამაშო ჯოხი
82. ციხე „გრაფ მონტე-კრის-ტოში“
83. ქვეყნის წარსული
84.ველური კოშში
85.გერმანელი კომპოზიტორი

დედის რძე კოსმეტიკაში

ერთ-ერთი ამერიკული სპა-ცენტრი კლიენტებს უჩვეულო პროცედურას სთავაზობს — სახის ნიღაბს დედის რძისგან. სპეციალისტების თქმით, ასეთი რძე სასწაულებს ახდენს. ცნობილია, რომ დედის რძე ბავშვის იმუნიტეტს ამაღლებს, იცავს მას ინფექციებისგან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისგან, ასთმისგან, აქვს ანტიბაქტერიული და ანტისეპტიკური თვისებები. კოსმეტოლოგებიც დარწმუნებულნი არიან, რომ დედის რძე სასარგებლოა უფროსებისთვისაც. როგორც სპა-ცენტრის დამფუძნებელი აცხადებს, ბევრი დედა იყენებს საკუთარ რძეს კოსმეტიკური პრობლემების მოსაგვარებლად, ის ნამდვილი აღმოჩენაა პრობლემური კანისთვის. რძეში მაღალი კონცენტრაციაა ცხიმებისა და საკვები ელემენტებისა. სპა-ცენტრი ამ მეტად სასარგებლო „ნივთიერებას“ იმ მეძუძური დედებისგან ყიდულობს, ვინც სამედიცინო შემოწმება გაიარა და დარეგისტრირებულნი არიან დედის რძის ბანკში. ამჟამად „პრეპარატს“ აკნეს, ეგზემას, დამწვრობის შედეგების აღმოსაფხვრელად, ასევე სახის გასაწმენდად იყენებენ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.